საერთო გაზეთი

№13 (746)
ოთხშაბათი
10 აპრილი,
2024 წ.
ფასი 1.50 ლ.

9 აპრილი – დღე, რომელმაც ოცდაათი წლის წინათ ახალ ეპოქას მისცა დასაბამი

საქართველოს ისტორიას ბევრი ისეთი დღე ახსოვს, რომელმაც ქართველი ერის ბედი განსაზღვრა და ჩვენი ქვეყნის მომავალი გადაწყვიტა. სწორედ ასეთი დღეა 9 აპრილი. დღე, რომელმაც ოცდაათი წლის წინ ახალ ეპოქას მისცა დასაბამი.

საბჭოთა იმპერიის მარწუხებისგან სამშობლოს დახსნა, საქართველოს დამოუკიდებლობა და თავისუფლება – ეს იყო ის დიდი ეროვნული იდეა, რომლის გარშემოც გაერთიანდა და ერთ მუშტად შეიკრა მთელი ერი.

1989 წლის 9 აპრილი იყო უმძიმესი, ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკული დღე, მაგრამ ეს დღე ჩვენთვის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის სიმბოლოდ იქცა – მთელი განვლილი ისტორიის მანძილზე შეძენილმა ეროვნულმა ენერგიამ ერთ პატარა მოედანზე მოიყარა თავი და დაღვრილი სისხლის მიუხედავად, ამ უთანასწორო ბრძოლიდან ქართველი ხალხი მორალურად გამარჯვებული გამოვიდა.

ერთადერთი ძალა, რომელმაც მაშინ ჩვენს ხალხს შეაძლებინა შიშველი ხელებით დაპირისპირებოდა საბჭოთა რეჟიმის სისასტიკეს, წინ დადგომოდა საბჭოთა ტანკებს, ეს იყო სამშობლოს უპირობო სიყვარული და შიშველი ემოცია. სწორედ ამ მუხტმა და ემოციამ შეგვაძლებინა, რომ თავისუფლებისთვის შეუპოვარი ბრძოლა რაციონალურ კალაპოტში მოგვექცია და ორი წლის თავზე, 1991 წლის 9 აპრილს, როგორც ამ ბრძოლის ლოგიკური შედეგი, ზვიად გამსახურდიამ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა გამოაცხადა.

დამოუკიდებლობის პირველივე დღეებიდან, როდესაც სახელმწიფოს მშენებლობას ცივი გონება, მუხლჩაუხრელი შრომა და საზოგადოების მაქსიმალური კონსოლიდაცია სჭირდებოდა, ჩვენს რაციონალიზმზე ემოციამ იმძლავრა და მას შემდეგ, საკუთარ შეცდომებზე გვიხდება სახელმწიფოებრიობის სწავლა:

ჯერ არჩეული ხელისუფლება დავამხეთ და ქვეყანა სისხლიანი სამოქალაქო დაპირისპირების ქაოსში გადავისროლეთ, შემდეგ კრიმინალებს ვაჯიჯგნინეთ სამშობლო, მერე, თითქოს გონს მოსულებმა, ქვეყანას გეოსტრატეგიული ფუნქციაც შევძინეთ და ნატო-ს კარზეც დავაკაკუნეთ, მაგრამ კორუფციასა და უძრაობაში ჩაფლულებმა იმდენი ვქენით, სანამ ემოციურ ტალღაზე შინნაზარდი დიქტატორი არ გამოვიძახეთ, რომელიც რუსთაველის გამზირზე ისევ სისხლში ახშობდა სახალხო პროტესტს.

2012 წლის 9 აპრილს, დამოუკიდებლობის ოცდამეერთე წელს, საქართველო დემოკრატიის ნასახის გარეშე, გადავსებული ციხეებით, ხმაგაკმენდილი მედიით, ოკუპირებული ტერიტორიებითა და აღმოსავლური ტირანიის ისეთი ცინიკური მოდელით შეხვდა, რომელიც ხალხის ჯიბიდან წაგლეჯილი ფულითვე ყიდულობდა დემოკრატიის ნიღაბს შინ თუ გარეთ.

ასეთი იყო ჩვენი სახელმწიფოებრიობის ტრაექტორია – თავდაღმართში სვლის ტეხილი, რომელშიც ძალიან ცოტა იყო დარაზმულობის, შრომისა და ურთიერთ გატანის ადგილი, რომელშიც თითქმის ყველა ისტორიული გარდატეხა სულსწრაფობითა და ემოციით ხდებოდა, რის შედეგადაც ქვეყნის განვითარება ათწლეულებით დავხიეთ უკან.

მიუხედავად ამისა, 2012 წლის პირველ ოქტომბერს ქართველმა ხალხმა შესაძლებლის ზღვარზე გაიარა და წარმოუდგენელი გამარჯვება მოიპოვა. ბევრს არ სჯეროდა, რომ ნგრევის, სამოქალაქო დაპირისპირებისა და არეულობის, ყოველგვარი რევოლუციური სცენარების გარეშე, ჩვენ სამართლებრივ სივრცეში მოვახდენდით ემოციური მუხტისა და რაციონალიზმის იდეალურ შერწყმას, მაგრამ ჩვენ ეს შევძელით – ძალადობრივი რეჟიმი ისე უმტკივნეულოდ, უსისხლოდ მოვიშორეთ თავიდან, რომ თვითონაც ბოლომდე არ იჯერებდნენ მომხდარს. ამ დღეს ხელმეორედ დაიბადა 9 აპრილის სულისკვეთება და უკვე მეშვიდე წელია, ქვეყანას მართავს რაციონალიზმზე დაფუძნებული პოლიტიკა, რომელმაც უწყვეტი საგარეო და სამოქალაქო მშვიდობა მოიტანა, რაც უპრეცედენტოა დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში.

მაგრამ მაინც მივიღეთ პარადოქსული ვითარება:

როგორც წესი, ნებისმიერ დემოკრატიულ ქვეყანაში ეკონომიკურ განვითარებას თან სდევს დემოკრატიის პროგრესი და ადამიანის უფლებების სტანდარტის ზრდა. ჩვენს ქვეყანაში, იმის გამო, რომ პირველი ოქტომბრის არჩევნების შედეგად მოსულმა ხელისუფლებამ უზრუნველყო დემოკრატიის მაღალი სტანდარტი და პოლიტიკური უფლებების სფეროში თამასა ევროპულ სიმაღლემდე ასწია, ჩვენი ეკონომიკური მოცემულობა ობიექტურად ჩამორჩა ამ სტანდარტს. სწორედ ამას იყენებენ ქაოსის მსურველი ძალები, სარგებლობენ რა ჩვენს მიერ დამკვიდრებული დემოკრატიული ინსტრუმენტებით და ეკონომიკურ პრობლემებზე სპეკულირებით კვლავ ფიქრობენ რევანშზე, ცდილობენ დაგვაბრუნონ 90-იანი წლების სიბნელეში და დღესაც, მათი მთავარი დასაყრდენი კვლავ რაციონალიზმზე გამარჯვებული ემოციებია. მიუხედავად იმისა, რომ „ოცნების" ხელისუფლებამ ამ ექვსი წლის მანძილზე რეგიონალური თუ გლობალური პოლიტიკურ-ეკონომიკური გამოწვევების ფონზე, რეალური შესაძლებლობის თითქმის მაქსიმუმი გააკეთა და ეროვნული ეკონომიკის უკლებლივ ყველა სფეროში თვალსაჩინო პროგრესი აჩვენა, სწორედ „ოცნების" ხელისუფლებას უყენებენ პრეტენზიას იმ სოციალურ-ეკონომიკური კოლაფსისთვის, რომელშიც ქვეყანა დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ აღმოჩნდა. ნიშანდობლივია, რომ ყველაზე ხმამაღლა იმ ხალხის პრეტენზია ისმის, ვინც იმ წლების განმავლობაში ყველაფერი გააკეთა, რომ ეს კოლაფსი დამდგარიყო.

ქვეყნის სტაბილურ წინსვლას რეალისტური და მკაფიო ამოცანები, მოთმინება და თანმიმდევრულობა სჭირდება. წინსვლა არ არის მყისიერი პროცესი. ის ითხოვს ხანგრძლივ სამოქალაქო მშვიდობას, რომელიც არ მიიღწევა ბარიკადების პირობებში. ამისთვის აუცილებელია ერთსულოვნება. სწორედ ის მდგომარეობა, რომელშიც ჩვენ ვიყავით 1989 წლის 9 აპრილს, როდესაც არავინ კითხულობდა, თუ ვინ სად იდგა მანამდე, როცა ამპარტავნება და ეგოიზმი ვერ ერეოდა საერთო საქმეს, როცა საკუთარი თავი კი არ მოსწონდათ ეროვნულ მოძრაობაში, არამედ პირიქით, ეროვნული მოძრაობა – საკუთარ თავში.

პოლიტიკა არის შესაძლებლის ხელოვნება, ანუ მხოლოდ ის, რაც რეალურად მიღწევად მიზანს ემსახურება, ხოლო ხალხისთვის პოლიტიკად შესაღება იმისა, რაც შესაძლებლის მიღმა დგას – უბრალოდ მავნებლობაა, რადგან არარეალური მიზნები ქმნიან ცრუ მოლოდინებს, მათი მიუღწევლობა კი შობს იმედგაცრუებას და ნიჰილიზმს და ძალიან სწრაფად იწვევს ეროვნული ენერგიის სრულ გამოფიტვას. გამოცდილება გვასწავლის, რომ ასეთი სულსწრაფი მცდელობები, წინსვლის და განვითარების ნაცვლად უკუსვლას იწვევს, რასაც, როგორც წესი, შედეგად ქაოსი და დესტაბილიზაცია მოჰყვება ხოლმე.

მიუხედავად ჩვენი პოლიტიკური წარსულისა, დღეს მოქალაქეები ისევ ერთი მიზნისთვის უნდა გავერთიანდეთ.

ეს არ ნიშნავს მეხსიერების წაშლას, არ ნიშნავს იმას, რომ ვინმეს მიეტევოს ჩადენილი დანაშაული, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ „ეშმაკი ყოფს" და განხეთქილებისკენ გვიბიძგებს! უნდა დასრულდეს პრინციპულობის ლოზუნგით საზოგადოების გახლეჩვა, თითის გაშვერა, ერთმანეთის დამუნათება და პოლიტიკური წარსულის მუდმივი შეხსენება. ყველგან, სადაც იქნება ემოციების გამარჯვება საღ აზრზე, განზე გადგომა და თანამოაზრეებთან დაპირისპირება, იქ იქნება ქაოსის ძალების დასაყრდენი, იქ იქნება 9 აპრილის იდეალების ღალატი.

წარსულში მიბრუნება დღეს სრულიად წარმოუდგენელია. წინ მხოლოდ რაციონალური პოლიტიკის, განვითარებისა და დემოკრატიის გზაა. ქართული სახელმწიფოს წინსვლის შეუქცევადობა მხოლოდ საერთო მიზნისთვის მთელი საზოგადოების დარაზმულობაზეა დამყარებული.

9 აპრილი მუდმივად გვახსენებს ამას.

2019 წლის 10 აპრილი

უხმლო ლაშქარი

9 აპრილის ტრაგედიის მსხვერპლთა ხსოვნას

ვაიმე, ჩემო უხმლო ლაშქარო,
სად მიხვალ, საით მიეხეტები.
ანგელოზებო, ფრთები გაშალეთ,
რომ დაიფაროთ უხმლო მხედრები.
ვის სთხოვ შველას და
ვის სთხოვ სამართალს,
როცა მგლებივით ირგვლივ გივლიან.
ჰაი, დედასა, ხმალი წაგართვეს,
უხმლოსთან ბრძოლა კი ადვილია.
უხმლო ლაშქარის მიკვირს ლაშქრული,
უხმლო მხედრების გრგვინავს მხედრული,
არა ძაბუნი, არა ლაჩრული,
არამედ ხაფი და გაბედული.
უხმლო ხმლიანსაც დასცემს, დაჯაბნის,
თუკი სამშობლოს იცავს ღირსებას.
გულო ნაღვაწო, მკლავო ნაჯაფო,
რა დიადია ეს განრისხება.
ვიგლოვოთ, მაგრამ ისე ვიგლოვოთ,
არ ჰგავდეს იგი სულით დაცემას,
დიახ, ეს იყო ჩვენი დიდგორი,
არვის ეგონოს ეს დამარცხება.
მოვა, მოგვენახავს კვლავაც დიდება
და მოგვიშუშებს უმძაფრეს ტკივილს.
ქაშუეთს ზემოთ ტბა დგას ტიტების,
მე ტბის ნაპირას ვზივარ და ვტირი:
– ჰაი, დედასა, უხმლო ლაშქარო...

ვახტანგ ხარჩილავა
1989 წ. 10 აპრილი

პრემიერ-მინისტრმა 9 აპრილს დაღუპულთა ხსოვნას პატივი მიაგო

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე 9 აპრილის მემორიალთან იმყოფებოდა. მთავრობის მეთაურმა მემორიალი ყვავილებით შეამკო და საქართველოს ერთიანობისთვის დაღუპულთა ხსოვნას პატივი მიაგო.

პრემიერ-მინისტრი ადგილზე თბილისის მერთან, აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად მივიდა.

9 აპრილის მემორიალთან საპატრიარქო ტახტის მოსაყდრემ, სენაკისა და ჩხოროწყუს მიტროპოლიტმა მეუფე შიომ 9 აპრილს დაღუპულთა სულის მოსახსენებელი პანაშვიდი გადაიხადა.

სამთავრობო სიახლენი

მე მინდა, ვთხოვო ეკონომიკის სამინისტროს, რომ დავიწყოთ მუშაობა დამატებითი პირდაპირი რეისების უზრუნველსაყოფად დიუსელდორფის და ჰამბურგის მიმართულებით და მნიშვნელოვანია, რომ ბილეთები იყოს ფიქსირებული დაბალი ტარიფით შეთავაზებული ჩვენი თანამოქალაქეებისათვის, - ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ მთავრობის დღევანდელ სხდომაზე განაცხადა.

მისივე თქმით, ეს ყველაფერი მნიშვნელოვანია, როგორც გულშემატკივრებისთვის, ისე ნაკრების წარმატებისთვის.

* * *

ყველა ფიზიკურ პირს, მათ შორის ინდივიდუალურ მეწარმეებს სრულად ჩამოეწერებათ 2021 წლის პირველ იანვრამდე წარმოშობილი და გადაუხდელი აღიარებული საგადასახადო დავალიანება მათზე დარიცხული საურავების ჩათვლით, როგორც ირაკლი კობახიძემ აღნიშნა, კანონპროექტის მიღების შემდეგ, 145 ათას ფიზიკურ პირს სრულად ჩამოეწერება ჯამში 590 მილიონი ლარის ოდენობის საგადასახადო დავალიანება.

თბილისში ახალი აეროპორტი აშენდება

მივიღეთ უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილება ახალი მეგაპროექტის განხორციელების შესახებ. კერძოდ, თბილისში აშენდება ახალი საერთაშორისო აეროპორტი, - ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ მთავრობის სხდომაზე განაცხადა.

„პირველი საკითხი უკავშირდება თბილისის საერთაშორისო აეროპორტს. 6 აპრილს გაიმართა ეკონომიკური საბჭოს სხდომა, სადაც მივიღეთ უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილება ახალი მეგაპროექტის განხორციელების შესახებ. კერძოდ, თბილისში აშენდება ახალი საერთაშორისო აეროპორტი. დღევანდელი აეროპორტის გამტარუნარიანობა არის დაახლოებით 4-5 მილიონი მგზავრი. იცით, რომ ჩვენ გვაქვს ძალიან დადებითი დინამიკა ტურიზმის სფეროში. მომავალშიც მოსალოდნელია ვიზიტორთა რაოდენობის სწრაფი და თანმიმდევრული ზრდა, რასაც ფეხი უნდა აუწყოს ინფრასტრუქტურამ.

ჩვენ განვიხილეთ ორი ალტერნატიული ვარიანტი. ერთი გულისხმობდა არსებული აეროპორტის გაფართოებას, მეორე გულისხმობდა ახალი აეროპორტის მშენებლობას ვაზიანში. გაფართოების ხარჯი იყო დაახლოებით 900 მილიონი დოლარი, ახლის აშენების ფასი 1 მილიარდ 260 მილიონი დოლარი. გაფართოება იძლეოდა საშუალებას, რომ მგზავრთა ნაკადი გაგვეზარდა მაქსიმუმ 15 მილიონ მგზავრამდე და შემდგომი განვითარების პერსპექტივა აღარ იყო. რაც შეეხება ახალი აეროპორტის მშენებლობას, ახლის მშენებლობა გვაძლევს 19 მილიონამდე მგზავრების რაოდენობის გაზრდის საშუალებას, შემდგომი გაფართოების პერსპექტივით“, - განაცხადა პრემიერმა.

ქართველ ხალხს სურს ქართული სახელმწიფო და არა ევროპის რომელიმე ქვეყნის რაღაც ფილიალი

რომელ წელსა და თვეს ჩავწერე ეს ინტერვიუ ბატონ ვახტანგ ხარჩილავასთან, რომელიც მიზეზთა გამო არ დაიბეჭდა, არ ვიცი, მაგრამ ახლა რომ გადავიკითხე, მეგონა, დღევანდელ დღეზე საუბრობდა...

— ბატონო ვახტანგ, როგორც იტყვიან ხოლმე, ქვეყნის საჭირბოროტო საკითხებზე მინდა გკითხოთ, თუმცა, საუბარს მედიაექსპერტობითა და მედია-სტანდარტებით დავიწყებ — რაზეა საუბარი, ვინ არიან?

— ეს არის წმინდაწყლის ცენზურა. ადამიანი, რომელიც ძალიან ლიბერალური ფასეულობებისა და დემოკრატიის დარაჯად წარმოგვიდგენს თავს, სინამდვილეში, ჩვეულებრივი ცენზორია, რომელსაც, თუ რაიმე არ მოეწონება, მზად არის, საზოგადოებას მოუწოდოს, ამ გამოცემას რამე უნდა მოვუხერხოთო. ისინი, ვინც ვითომდა საზოგადოებრივ აზრს ქმნიან, მენტალობით ბოლშევიკურ-კომუნისტური აზროვნების გამგრძელებლები არიან. მათი აგრესიული ტონი განსხვავებული აზრისა და განსხვავებული პოზიციის მიმართ, სწორედ ბოლშევიკური მენტალიტეტია.

ასე უქვემდებარებდნენ კომუნისტები სტანდარტებს, ანუ წინასწარ გამოჭრილ ჩარჩოს და საზოგადოებას აიძულებდნენ, უარი ეთქვათ განსხვავებულ მოსაზრებაზე, — ამ შემთხვევაში მიდგომა ერთნაირია. ვისი სახელით გაკეთდება ეს, დემოკრატიის დაცვის საბაბით, ლიბერალური ფასეულობების თუ კომუნისტური იდეოლოგიის დაცვის სახელით, სულ ერთია, მიდგომა ერთი და იგივეა.

სამწუხაროდ, არა მხოლოდ დღეს, გუშინაც და გუშინწინაც, საკმაოდ დიდი დროა, რაც მთელ საქართველოში ერთი და იგივე რაღაც ჯგუფი ცდილობს, დაიმკვიდროს და მოირგოს საზოგადოებრივი აზრის წარმმართველის როლი და დამრიგებლური ტონით ელაპარაკოს ქართველ ხალხს.

მე არ ვიცი, ვინ მიანიჭა მათ ეს სტატუსი, რომ ისინი ყველაფრის ექსპერტები, ყველაფრის მცოდნე გურუები არიან; მე არ ვიცი, საიდან აქვთ ასეთი წარმოდგენა საკუთარ თავზე, მაგრამ ერთი რამ ვიცი, რომ ეს ადამიანები არ ემსახურებიან ქართული სახელმწიფოს ინტერესებს. თითქოსდა „წარმოუდგენელ მკრეხელობას“ ვამბობ, როგორ შეიძლება, ვთქვათ, „ჟურნალისტიკის მეტრები“ არ ემსახურებოდნენ ქართული სახელმწიფოს ინტერესებს? — დიახ, ეს ადამიანები არ ემსახურებიან ქართული სახელმწიფოს ინტერესებს, პირიქით, ისინი შეფარულად და შელამაზებულად ანგრევენ იმ საძირკველს, რაზეც სახელმწიფო უნდა იდგეს.

ბევრჯერ მითქვამს, სახელმწიფო არ არის სუპერმარკეტი, სახელმწიფო არის ეროვნულ ფასეულობათა საერთო შენობა, აი, სწორედ ამას ანგრევენ ესენი. ეს კეთდება მაღალი იდეალების სახელით, მაგრამ სინამდვილეში, ისეა, როგორც მოგახსენეთ. სულ ცოტა, თხუთმეტი წელი მაინც არის, რაც ვიღაც-ვიღაცები ქართული ტელევიზიების ეკრანებიდან არ ჩამოდიან და ჭეშმარიტების ბოლო ინსტანციის როლში გვევლინებიან...

მე, პირადად, დავიღალე ამ კოლექტიური ბოლშევიკებით — ჩართავ ტელევიზორს — ისინი არიან, გადართავ — იქაც, გადმორთავ — კვლავ ისინი ლაქლაქებენ, გაზეთს გადაშლი — იქაც ისინი!

მათ ყველაფერი იციან! ჟურნალისტიკა ხომ იციან და იციან, ასევე ზედმიწევნით იციან, რა ხდება შინაურ პოლიტიკაში, რა ხდება საგარეო პოლიტიკაში და ა. შ. სინამდვილეში, მათ ბევრი რამ არ იციან, მაგრამ ძალიან კარგად ასრულებენ იმ დავალებებს, რისთვისაც, რამდენადაც მე ვიცი, ძალიან კარგ ანაზღაურებას იღებენ არა საქართველოში, არამედ სხვა წყაროებიდან. ეს ის გრანტიჭამიები არ არიან, რომლებიც ქართულ პოლიტიკას აედევნნენ უკვე 15-20 წელია.

ჩემდა გასაკვირად და გასაოცრად, 1-ელი ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, ეს ადამიანები უფრო გააქტიურდნენ, წინა პლანზე წამოიწიეს. მრჩება შთაბეჭდილება, რომ პატარა ჟურნალისტური მაფიის მსგავსი რამ შეიქმნა და ერთმანეთს დააპორწიალებენ წინ და უკან — ასეთი რამ შეიძლება? რაც 1-ელ ოქტომბერს მოხდა, ამისთვის არ მომზდარა!

ყველამ კარგად დაიმახსოვროს! ქართველ ხალხს არ ჰქონდა შეკვეთა, „ნაციონალური მოძრაობა“ გავუშვათ ხელისუფლებიდან და ვინც ისინი მოიყვანა, დაამკვიდრა და იდეოლოგიური საფუძველი შეუქმნა, ის ხალხი დავტოვოთ, ისევ ვუყუროთ და ვუსმინოთ 15 წელი მათ მიერ გამოთქმულ ერის შეურაცხმყოფელ შეფასებებს და საუბრებსო.

თუ ეს ქვეყანა, რომელსაც საქართველო ჰქვია და რომლის გამოც ბოლო ცხრა წელია, იბრძვის ქართველი ხალხი, ვინმეს არ მო□წონს, არავინ აიძულებს საქართველოში ცხოვრებას, წაბრძანდეს იქ, სადაც მისი შესაფერისი ქვეყანა ეგულება. მათ ჭკუაზე და თარგზე ვეღარ გადავკეთდებით ჩვენ, ქართველები!

მათ ჩვენი მენტალიტეტის შეცვლა უნდათ. წინა ხელისუფლება იმაში არწმუნებდა მთელ მსოფლიოს, რომ ქართველები, ველური, ჩამორჩენილი ხალხია, რომელსაც აღზრდისთვის როზგი სჭირდება; ხალხი, რომელიც ციხეებში უნდა ჩაყარო; ხალხი, რომელსაც არ ესმის, რა არის დემოკრატია... ახლა აღმოჩნდა, რომ არ ვყოფილვართ ჩამორჩენილები. ვიღაცებს ვიღაცებში ვეშლებოდით სწორედ იმიტომ, რომ ეს „პატივცემულები“, წინა ხელისუფლება და მისი იდეოლოგები ამკვიდრებდნენ და ამკვიდრებენ ამ აზრს და ერის აღზრდაში ჰონორარებს იღებენ. უამრავი არასამთავრობო ორგანიზაცია რომ არის აღმოცენებული ქართველი ერის „გასანათლებლად“, როგორ გგონიათ, ვის მიერ არის დაფინანსებული, ჰონორარებს მე და თქვენ ვუხდით? ყველა დარგში პატარა-პატარა მაფიოზური კლანებია შექმნილი და იმიტომაც ჩანან მუდმივად ესენი, რომ უცხოს არ უშვებენ. მე ძალიან მინდა, ქართველმა ხალხმა მიაქციოს ყურადღება ამას, ვიდრეს ახალი მძიმე შედეგები მოჰყოლია...

როგორც ჩანს, არ არის ბოლომდე გააზრებული ის, რომ საქართველოს მოსახლეობას არა მხოლოდ ეკონომიკური პრობლემები გვაწუხებს, არამედ ისიც, რომ გვინდა, შევინარჩუნოთ ჩვენი ეროვნულობა, ჩვენი ქართველობა. ვიღაცებისთვის ეს „გოიმობაა“, „ჩლუნგობაა“. ჩლუნგობაა როცა საფრანგეთი, ნორვეგია, გერმანია თუ ნებისმიერი სახელმწიფო ცდილობს, დაიცვას თავისი ეროვნული ინტერესები?! როდესაც ეს შეიღახა, როდესაც ამის დაკარგვის საშიშროება გაჩნდა, მაშინ დადგა ქართველი ხალხი ფეხზე...

რაღა შორს მივდივართ, 1-ელი ოქტომბრის შემოქმედმა ბიძინა ივანიშვილმა ბრძანა, პოლიტიკაში იმისთვის მოვედი, რომ ვხედავდი, სამშობლო მეკარგებოდაო. სამშობლოს დაკარგვაში იგულისხმებოდა ისიც, რომ ვიღაც გეუბნება, ქართული ეკლესია საფრთხის შემცველიაო. ეს შეფარული ბოლშევიკი „ყოვლისმცოდნეები“ გვართმევენ სამშობლოს, ეს პატარ-პატარა შენიღბული შინაური დამპყრობლები. მართლმადიდებლურ ქვეყანაში როგორ მიბედავ და მეუბნები, რომ მართლმადიდებელი ეკლესია ხიფათის შემცველია!

— პროდასავლური ლიბერალური ფასეულობები ასე მოითხოვსო...

— არავითარი პროდასავლური ფასეულობები ეს არ არის, დამიჯერეთ! ტყუილია, რომ რომელიმე ნაციონალურ არხზე ვინმემ გაბედოს და ჰომოსექსუალიზმის ან ლესბოსელობის პროპაგანდა გასწიოს. ესენი ვის ატყუებენ, ეს ტაკიმასხარები, რა შუაშია პროდასავლური და დასავლური ღირებულებები საერთოდ! მე არ მინახავს, ქართველი კაცი ვინმეს გაჰკიდებოდეს. თუ აქეთ ძალით არ აჩრიან თავიანთ სექსუალურ მოტივებს, ვინ ვის მიუვარდა – ამ კონფლიქტს ხელოვნურად ქმნიან. სექსუალურ უმცირესობებს არავისგან არ სჭირდება დაცვა.

ჩვენს „სათაყვანებელ“ ამერიკაში მოხდა, თუ არ მეშლება, კალიფორნიის შტატში, ხალხმა ხეზე რომ ჩამოჰკიდა საწყალი გეი, რომელიც თავის აგრესიას ახვევდა საზოგადოებას და არა საქართველოში, — ღმერთმა დაგვიფაროს!.. თუ ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდის დაუშვებლობაზე და მათი უფლებების შელახვაზეა საუბარი, ეს არის უმრავლესობის უფლებების შელახვაც, აქედან გამომდინარე, ეს ფსევდოლიბერალობა, ფსევდოდემოკრატობა არ არის იმ რეალობის ამსახველი, რომელიც დღეს შეიძლება, ჩვენს ქვეყანაში იყოს. ისინი ხელოვნურად ქმნიან კონფლიქტურ სიტუაციებს, აშკარად სურთ, რომ ვიღაცამ გალახოს ესენი. მსგავსი პროვოკაცია მოხდა ჩემთვის ძალიან არასაპატივცემულო ტელეკომპანია „კავკასიაშიც“, როდესაც რვა ახალგაზრდა კაცი დაიჭირეს ღია ეთერში. რა დააშავეს მათ? ისინი გამოესარჩლნენ მართლმადიდებლობას, სხვა დანაშაული არ ჰქონდათ. როგორ, მართლმადიდებლობის გამოსარჩლება დანაშაულია და მისი ხელყოფა დანაშაული არ არის?

— ბატონო ვახტანგ, ეჭვი არ გაგიჩნდათ, რომ მართლმადიდებელ ეკლესიაზე მორიგი გალაშქრება იგეგმება?

— სწორედ ამას უკავშირდებოდა, ტელეკომპანია „საქართველო“ რომ იყიდა ჩერგოლეიშვილის ქალმა. გაამჟღავნა, წამოსცდა ნინია კაკაბაძეს, ეკლესია ხელისშემშლელ ფაქტორად იქცაო. თუმცა, რატომ იქცა, ეს აღარ უთქვამს. იმიტომ, რომ, მიუხედავად ეკლესიის წიაღში მყოფი ცალკეული უღირსი სასულიერო პირისა, ეკლესია ხალხის მხარეს აღმოჩნდა და ახლა მისი ავტორიტეტი უნდა დაეცეს. საქართველოს მოსახლეობის 80%-ია მართლმადიდებელი მრევლიო, მწუხარებით თქვა ნინია კაკაბაძემ და ახლა ამ ფორპოსტის მოსაშლელად ემზადებიან ესენი. ვინ იქნება ამაში ჩართული? — ისევ იგივენი.

ეს ე. წ. პროდასავლელი ლიბერალები რას ამბობენ ფარისევლურად, იმას კი არ აქვს მნიშვნელობა, არამედ იმას, რომ წასულ ხელისუფლებას უჭერენ მხარს და რევანშისტულ განწყობებს იზიარებენ

ფაქტობრივად, პროპაგანდის მთელი სისტემაა შექმნილი, ქსელი, სადაც მაფიურ-კლანური სექტის წარმომადგენლებს აქვთ დაკავებული ყველა ნიშა, ისინი აკონტროლებენ დღეს საზოგადოებრივ აზრზე ზემოქმედების ყველა ბერკეტს.

ჩემთვის ფრიად სამწუხაროა, რომ 2012 წლის 1-ელი ოქტომბრის შემდეგ, ეს ადამიანები ისევ მოწინვე პოზიციებზე დგანან და ახლა უკვე „ქართული ოცნების“ ერთგულ ჯარისკაცებად მოაქვთ თავი — გადახედეთ ტელევიზიის მუშაკებს. მე შემიძლია ხატზე დავიფიცო, რომ თითოეული მათგანი შინაგანად არის მტერი „ქართული ოცნებისა“, მისი ლიდერისაც და იმ იდეებისაც, რასაც „ქართული ოცნება“ ამკვიდრებს. ისინი მტრები არიან, რომლებიც შიგნით შევიდნენ და გეგმავენ, შიგნიდან გატეხონ ციხე.

მიმდინარე მოვლენებს რომ ვუყურებ, ერთი რამ მინდა ძალიან ხმამაღლა ვთქვა, ამ არჩევნებში გაიმარჯვა ერთმა კაცმა, ბიძინა ივანიშვილმა და ქართველმა ხალხმა. ეს გამარჯვება არანაირად არ არის იმ პოლიტიკოსების დამსახურება, რომლებიც დღეს რაღაც ყინჩად იყურებიან — მათი, ასე ვთვათ, მარგი ქმედების კოეფიციენტი ნულის ტოლია.

ამ ერთ კაცს გამოუცხადა საქართველოს მოსახლეობამ მხარდაჭერა და ეს კარგად დაიმახსოვრონ!..

ვისაც უნდა, ნაძლევს დავუდებ — 1992 წლიდან მოყოლებული, კადრები რომ დავდოთ და თვალი გავაყოლოთ, ვინ იდგა ამა თუ იმ გამარჯვებული ძალის გვერდით, თითქმის ერთსა და იმავე სახეებს ვნახავთ 1995-ში, 2000-ში, 2003-ში და 2012-შიც — ამას მედროვეობა ჰქვია, სხვა არაფერი. როგორ იდექი იმის გვერდზე, რომელიც დღეს არის მიუღებელი, იმის გვერდზეც, რომელიც ათი წლის წინათ იყო მიუღებელი, ახლა აქ როგორღა დგახარ დღეს!

აი, ამ მედროვეებისა და ფარისევლების ჯოგს უნდა მივაქციოთ ყურადღება და ამ ცუდად ნაცნობ სახეებს ვუთხრათ „კარგი, რა, გეყოფათ, სირცხვილიც კარგი საქონელია!“

მე მინდა, რომ საზოგადოებაც გავაფრთხილო, „ქართული ოცნებაც“ და ის მომავალი პარლამენტიც, რომელიც მის კანდიდატურას მხარს დაუჭერს: თქვენ რომ დღეს ძველი პარლამენტის შემადგენლობის პასუხისმგებლობაზე საუბრობთ, რომლებმაც უგულებელყვეს ქართველი ხალხის მოთხოვნები და მხარი დაუჭირეს ისეთ კანონებს, დადგენილებებსა და მამაძაღლობებს, რომლებიც სახელმწიფოს წინააღმდეგ იყო მიმართული, თუ თქვენც ასეთ კანდიდატურებს დაუჭერთ მხარს, თქვენი პასუხისმგებლობის საკითხიც აუცილებლად დადგება!

„ნაციონალურ მოძრაობას“ ჰქონდა ერთი საგულისხმო ნიშანი, ერთიანები იყვნენ ცუდი საქმის კეთებაშიც, შეკრული გუნდი იყო. ამ ახალ სახელისუფლებო გუნდში პატარ-პატარა გუნდებს ვამჩნევ, პატარ-პატარა კლანებს, ასე ვთქვათ, მცირე ავტონომიებს — ყველა თავის ხალხს იკრებს და ამით ცდილობს პოზიციის განმტკიცებას. ეს არის ძალიან ცუდი რამ, რამაც, შეიძლება, მომავალში დიდ შინაურ განხეთქილებას დაუდოს საფუძველი.

— რამდენიმე არასწორი ნაბიჯიც და იმავე საქართველოს მივიღებთ, როგორიც 2000-2003 წლებში იყო, ანუ იმ სიტუაციას, რაც „ვარდების რევოლუციის“ საფუძველი გახდა...

— არ არის გამორიცხული, ასეც მოხდეს. ეს საუბარი ხომ იმას მოჰყვა, რაც საერთო სურათის შემადგენელი ნაწილია...

1-ელ ოქტომბერს ჩვენ უარი ვთქვით ძველ ხელისუფლებაზე, მაგრამ რატომ ვთქვით, ეს ბოლომდე არ არის გაანალიზებული და არც დასკვნა გაკეთებულა...

ისევ გრძელდება ე. წ. ძველი ლიბერასტულილი სიმღერების ახლებურად შეფუთვა. ეს ანალიზი რომ გაკეთდეს, იმ დასკვნამდე მივალთ, რომ ქართველ ხალხს სურს, რომ ქართული სახელმწიფო ჰქონდეს. არა, ვთქვათ, ევროპის რომელიმე ქვეყნის რაღაც ფილიალი, არამედ ქართული სახელმწიფო თავისთავადი, ეროვნული და კულტურული ტრადიციებით. კი, ბატონი ივანიშვილის გამოსვლებში არის ფრაგმენტულად ამის შესახებ საუბარი, მაგრამ კონცეფცია, როგორ უნდა აშენდეს ქართული სახელმწიფო, ჯერ არ არის. ქართული სახელმწიფო ქართულ მენტალიტეტზე უნდა აიგოს, ანუ შეუსაბამობაა იმ ადამიანებისა და ბატონი ივანიშვილის პოზიციას შორის, რომელიც ამბობს, რომ ბავშვი დედამ უნდა აღზარდოს, რადგან, ამათ უნდათ, რომ ბავშვი დედამ კი არა, დედინაცვალმა აღზარდოს.

მე ვფიქრობ, თითოეული ქართველის მოვალეობაა, რომ დღეს ვიყოთ აქტიურები, ძალიან მართალი, ძალიან გულწრფელი და ძალიან ფხიზლები იმ მოვლენების მიმართ, რაც საქართველოში ხდება, თორემ, თუ მხოლოდ გარედან სეირის მაყურებლის როლში ვიქნებით, ადვილი შესაძლებელია, ძალიან ცუდად შემოგვიტრიალდეს ყველაფერი.

საქართველოში დიდი ხანია, შეინიშნება გლობალისტური იდეოლოგიის დესანტის აქტიური მოქმედება ყველა მიმართულებით. მწერლობაში ვითომ მწერლები და ვითომ პოეტები რომ არიან ვიღაცები, მათი „შემოქმედების“ აქტიური რეკლამირება და პროპაგანდა მიმდინარეობს, თორემ, ზაზა ბურჭულაძე ვინ იყო, რომ ვინმეს გახსენებოდა?

გარედან მართულმა ძალამ იცის, რომ ესენი ძალიან საჭირო ვიღაცები არიან იმისათვის, რომ მენტალური რევოლუცია მოახდინონ, ფსიქიკა შეურყიონ ერს, გაათახსირონ და ამისათვის, აი, ასეთი მწერლობა უნდა მიაწოდონ; აი, ასეთი ვიღაცები უნდა აჩვენონ ტელევიზიებით ყოველ მეორე დღეს; აი, ასეთი ხალხი უნდა წარმოაჩინონ წარმატებულ ადამიანებად, ანუ, უნდა აჩვენონ ახალგაზრდობას, რომ თუ წარმატების მიღწევა უნდათ, აი, ასეთები უნდა იყვნენ. მერე გამოხტება ნინია კაკაბაძე და ვიღაცა რაღაცას რომ იტყვის, „ჩვენი უბირი საზოგადოების ბრალია ეს. დედაზე რომ ლაპარაკობს ბურჭულაძე, თვითონ კი არ ამბობს, მისი პერსონაჟი ამბობსო...“

ესენი მწერლები არ არიან, ეს არის მწერლობის დისკრედიტაცია. თუ ვიღაც ავად არის და რაღაც მანიაკალური იდეები აქვს, კი, ბატონო, მაგრამ ჩვენ რატომ ვუწევთ ამას პროპაგანდას და ამის წინააღმდეგ ვინც ხმას ამოიღებს, რატომ ვუწოდებთ ბნელს, – ბნელეთის მოციქულია ის, ვინც ამგვარ პოზიციას იჭერს და ლამაზი ფრაზებით ლაპარაკობს.

მართლა ვიღაც-ვიღაცებივით გონებაჩლუნგი უნდა იყო, რომ ვერ მიხვდე და ვერ დაინახო ის შემაძრწუნებელი გეგმა ამ ქვეყნის აოხრებისა, რომელსაც ძალიან თანმიმდევრულად და მიზანმიმართულად ახორციელებდა წინა ხელისუფლება, როგორც მენტალურად, ასევე ეკონომიკურად.

ამასვე ემსახურებოდა ამდენი უსამართლოდ დაკავებული ადამიანი, პრობაციონერი;

ამასვე ემსახურებოდა ადამიანის ინტელექტუალური დონის განსასაზღვრად უნარ-ჩვევების აღიარება;

ამასვე ემსახურებოდა ის შემაძრწუნებელი და გამაოგნებელი სიტუაცია, რაც სუფევდა ჯანმრთელობის დაცვის მიმართულებით, რომელიც „სიკვდილის რეფორმა“ იყო და ასე შემდეგ, რომელი ერთი ჩამოვთვალო — არ დარჩენილა სფერო, რომელსაც ნგრევის, განადგურების, გაჩანაგების კვალი არ ემჩნეოდეს. იმის ნაცვლად, რომ ეს ე. წ. ექსპერტები ამაზე საუბრობდნენ, იმას არკვევენ, როგორ ამოძირკვონ ყველაფერი ქართული, უპირველესად კი — ქართული ენა!

რას უკრძალავენ საქართველოსა და ქართველებს, ქვეყნის და საკუთარი თავის დაცვას? ეს არის ამათი ექსპერტობა? შემირცხვენია ასეთი ექსპერტობა და ასეთი ექსპერტები!

მე კიდევ ერთხელ მოვუწოდებ საზოგადოებას, რომ იყვნენ ფხიზლად! მართლა სატანის მოციქულები, რომლებიც ჩვენს ქვეყნას ანგრევდნენ, არსად წასულან და იგივეს გაგრძელებას აპირებენ!

მაია ჯელიძე

დემოკრატიულ ქვეყანაში ამ კანონის არარსებობა წარმოუდგენელია

რამდენიმე დღეში საპარლამენტო უმრავლესობა „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონპროექტს პარლამენტში კვლავ დააინიცირებს, რასაც კატეგორიულად ეწინააღმდეგება ოპოზიცია და მათი ლობისტი უცხოელი პერლამენტარები. არის თუ არა აღნიშნული ინიციატივა დროული და აუცილებლად მისაღები და ხომ არ იქნება ის გარკვეული რისკის შემცველი ევროკავშირისკენ მიმავალ გზაზე. ამის შესახებ „საერთო გაზეთთან“ სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლები საუბრობენ.

მერაბ ჩხაიძე, რეჟისორი, ნოველისტი:

კანონი უცხოური დაფინანსების გამჭვირვალობის შესახებ დიდი ხნის წინ უნდა ყოფილიყო მიღებული. „ქართულ ოცნებას“ ის მოსვლის დღიდან უნდა დაეინიცირებინა. მიზეზი მარტივია, რადგან ჯერ ერთი, უკვე ბევრ დემოკრატიულ სახელმწიფოში მოქმედებს მსგავსი კანონი და ბევრი ქვეყანა ახლა აპირებს მის მიღებას. მეორე - სახელმწიფო ვალდებულია იცოდეს, რომელი ორგანიზაცია რა თანხით ფინანსდება და რა მიზნობრიობით შემოდის თანხა საზღვარგარეთიდან საქართველოში. დემოკრატიულ ქვეყანაში ამ კანონის არარსებობა წარმოუდგენელია.

მაგალითად, ეს ენჯეოს წარმომადგენლები და პარტიების ეგრეთ წოდებული ლიდერები: ელისაშვილი, კორძაია, სამნიძე თუ სხვები, ქვეყნის გულშემატკივრობას რომ იბრალებენ, რატომ არ ფიქრობენ იმაზე, რომ დაფინანსების დიდი ნაწილი შეიძლება სულაც რუსეთიდან შემოდიოდეს. თუ ვიცით, რომ ელენე ხოშტარია რუსეთიდან ფინანსდება, იქნებ, კიდევ ბევრი „ლიაკაა“, ვისაც რუსეთი გარკვეული ინტერესების გასატარებლად აფინანსებს?! ეს ხომ უბრალო ჰონორარი არ არის?! მილიონობით დოლარს ვინ იხდის ასე უბრალოდ?! ასევე, ცნობილი ფაქტია, რომ დიდძალი ფული შემოვიდა ენჯეოებისთვის წინასაარჩევნოდ... გასაგებია მიზეზები, რის გამოც მსგავსი კანონი თავის დროზე ვერ მიიღეს, ბევრი ხელისშემშლელი ფაქტორი არსებობდა ამის წინააღმდეგ და ახლაც წინააღმდეგობებს ვხდებით, მაგრამ ახლა უკვე, თუნდაც ცოტა მოგვიანებით, მისი მიღება აუცილებელია.

მაკა სახურია, თბილისის კლასიკური გიმნაზიის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი:

არასამთავრობო ორგანიზაციების დაფინანსების გამჭვირვალობის კანონს არ ვეწინააღმდეგები, რადგან მიმაჩნია, რომ ენჯეოების საქმიანობა და ფინანსური წყაროები ნამდვილად უნდა იყოს გამჭვირვალე. ეს კანონი, რამდენადაც ვიცი, არ გახლავთ რუსული, უფრო ევროპულ-ამერიკულია, მუშაობს აშშ-ში და ევროპის ქვეყნებშიც და ვერ ვხვდები, რატომ აქვს ხალხს ასეთი რეაქცია, ან მაინცდამაინც საქართველოს რატომ ეკრძალება მისი მიღება! ამ ხელისუფლებისგან რეპრესირებული და პოლიტიკური ნიშნით დევნილი მე არავინ მინახავს და არ მგონია, რომ კანონს ხელისუფლება ვინმეზე ანგარიშსწორებისთვის გამოიყენებს. თუმცა შარშანაც გამოვხატე ჩემი პოზიცია, რომ, თუ ევროინტეგრაციას ეს კანონი ხელს უშლის, არ ღირს მის გამო მსხვერპლის გაღება. ახლაც მიმაჩნია, რომ საამისო დრო არ არის. აშკარაა, რომ კანონის მოწინააღმდეგეები პიარულად ჯაბნიან კანონის ინიციატორებს. ვრცელდება განმარტებები, მაგრამ ეს მაინც არ არის საკმარისი კანონის მიმართ საზოგადოების კეთილგანწყობის მოსაპოვებლად. თავისი დრო აქვს ყველაფერს. საარჩევნო წელია და ხელისუფლებას ვურჩევ, რომ სიხისტე არ გამოიჩინოს.

გიორგი იაკობაშვილი, საინფორმაციო ანალიტიკური პორტალის, for.ge-ს მთავარი რედაქტორი:

როცა ასეთი ოპოზიცია და ასეთი არასამთავრობოები გვყავს ქვეყანაში, ყველაფერი რისკის შემცველია, მაგრამ მგლის შიშით ცხვარს ხომ არ გავწყვეტთ? საუბარია გამჭვირვალობაზე და, მე მგონი, გამ-

1183. →

ამ კანონს ოპოზიციაც და დასავლეთიც არეულობის მოწყობის საბაბად იყენებენ

გვესაუბრება „იქს-ნიუსის“ დამფუძნებელი მირიან ჭარაულაშვილი:

— ბატონო მირიან, პარლამენტმა მიიღო კანონი გენდერული კვოტირების გაუქმების შესახებ. საარჩევნო სიის შედგენისას ყოველი მეოთხე ქალის დასახელების ვალდებულება გაუქმდა.

— როცა კანონში საარჩევნო სიაში ყოველი მეოთხე ქალის დასახელების შესახებ ცვლილება შევიდა, ეს მაშინაც ხელოვნურად მიმაჩნდა. კვოტირების ვერანაირ აუცილებლობას ვერ ვხედავ. საერთოდ, ნებისმიერი კვოტირება რაღაცის თავისუფლების შეზღუდვაა. გენდერულ კვოტირებას რაც შეეხება, უფალი ქალსა და მამაკაცს კვოტების მიხედვით არ აჩენს! ყველანი ღმერთისგან მოვლენილები ვართ. ღმერთისგან მოვლენილ ადამიანებში, პრივილეგირებულები რატომ უნდა არსებობდნენ?! ასე რომ, ნებისმიერი კვოტირება, იქნება ეს საპარლამენტო სიაში, ბიზნესში, გარკვეულ პრეფერენციებში, ბიზნეს-ტენდერებში, და ა. შ. ჩემთვის მიუღებელია. კვოტის დაწესების, შერჩევის დროს შეიძლება სუბიექტური აზრის გათვალისწინება მოხდეს. იგივე, საარჩევნო სიაში ყოველი მეოთხე ქალბატონის შერჩევისას, შესაძლოა, სუბიექტური ფაქტორები ყოფილიყო გათვალისწინებული. ასე რომ, კანონს გენდერული კვოტების გაუქმების შესახებ, მივესალმები.

რაც შეეხება თავად „გირჩს“, რომლის ინიციატივაც იყო ამ კანონის მიღება, პოლიტიკურ ორგანიზაციად არ მივიჩნევ. სოცქსელში ამ თემაზე კომენტარი ვნახე: პოლიტიკა ვაჭრობააო. უბედურება ისაა, პოლიტიკა სავაჭრო ასპარეზად რომ აქციეს. პოლიტიკას ის ადამიანები უნდა ქმნიდნენ, ვისაც ვაჭრობა არ შეუძლია. ხშირ ცვლილებებსაც არ მივესალმები. ადამიანებს სტაბილურობის შეგრძნება უნდა ჰქონდეთ და არა ყოველ წელს ახალი რეგულაციების შემოღების მოლოდინი. ასე მუდმივად გიწევს, ახალ-ახალ რეგულაციებს შენი ცხოვრება მიუსადაგო, რაც მარტივი არ არის.

საქართველოში მანდილოსანს ყოველთვის პატივს სცემდნენ. დედის, დედაბოძის, დედა-სამშობლოს კულტი, სანამ ერთი ჭეშმარიტი ქართველი მაინც იარსებებს, არასდროს მოისპობა. ოპოზიციონერი ქალბატონები კი ხელოვნურად შექმნილი ფიგურები არიან, მათზე კომენტარის გაკეთებაც კი არ ღირს.

— „მედიის განვითარების ფონდის“ ვრცელი ანგარიში გამოქვეყნდა, სადაც „ქართულ ოცნებას“ სექსისტური განცხადებების, გენდერული დეზინფორმაციის წარმოებისთვის აკრიტიკებენ...

— ამ ფონდის აღმასრულებელი დირექტორი თამარ კინწურაშვილი არ არის? მის ფონდზე რა კომენტარი გავაკეთო. მედიაზე ძალადობის წახალისება, პრეზიდენტზე თავდასხმები, ქალების მიმართ შეურაცხყოფა — თემები, რაზეც ფონდის წევრები საუბრობენ, ყურით მოთრეულია მნიშვნელოვანი საკითხების გადასაფარად. არანაირი დისკრიმინაცია — არც რასობრივი, არც გენდერული, არც სქესობრივი, საქართველოში არ ხდება და არც არასდროს ხდებოდა. ეს თემები, რაც ამ ფონდს წინა პლანზე გამოაქვს, დუღილის შედეგად წარმოშობილი ქაფია, რომელიც უვარგისია და დუღილის პროცესში უნდა მოიშორო. რა ეტყობათ ამ ოპოზიციონერ ქალებს დისკრიმინაციული მოპყრობის, ოპონენტებს ლამის თვალებს თხრიან, კაცებს თავზე ახტებიან. ეს არის დისკრიმინაცია? პირიქით..

— სამადაშვილმა პარლამენტის სხდომაზე ოდიშარიას ნარკოლოგიური შემოწმება მოითხოვა.

— ერთი ამბავი ატეხეს, ოდიშარიამ ეს რა განცხადება გააკეთაო. ჯერ ერთი, მას განცხადება არ გაუკეთებია, ორი სიტყვა თავისთვის ჩაილაპარაკა. მეორეც, ვისი მისამართითაც იყო გამონათქვამი, ის ობიექტები საკუთარი ქცევით ადასტურებენ, რომ ოდიშარია, მგონი, მართალია. რაც შეეხება ნარკოლოგიურ შემოწმებას, ადრე ამას ყველა პარლამენტარი გადიოდა. რა მნიშვნელობა აქვს, ვინმე კოკაინის ზემოქმედების ქვეშ იქნება, თუ ალკოჰოლური თრობის, მთავარია, რომ პარლამენტში სამუშაოდ უნდა მიხვიდე. თუ ბრალდება უსაფუძვლოა, არსებობს კანონი ცილისწამების შესახებ და ოდიშარიამ ამაზე სამადაშვილს პასუხი უნდა მოსთხოვოს. ასევე, სამოქალაქო კოდექსში არის მუხლი ღირსების შელახვის შესახებ და შეუძლია, სასამართლოს მიმართოს. მე, ასე მოვიქცეოდი.

აქვე „უცხოური გავლენის გამჭირვალობის შესახებ“ კანონის შემობრუნებაზეც მოგახსენებთ. ეს კანონი აუცილებლად მისაღებია. მაგრამ ზოგადად, ამ საკითხის შესასწავლად, საქართველოს კანონმდებლობაში იმაზე ბევრად მეტი ინსტრუმენტი არსებობს, ვიდრე საჭიროა. ამიტომ, ჩნდება კითხვა: რატომ ვერ აკონტროლებს სახელმწიფო უცხოური დონორებისგან ქართული ა(ა) იპ-ის დაფინანსების საკითხს საქართველოს კანონით „გრანტების შესახებ“, რომელიც ჯერ კიდევ 1996 წლიდან მოქმედებს, კანონით „ფინანსური მონიტორინგის შესახებ“, კანონით „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“, საგადასახადო კოდექსითა და მათი შესაბამისი ნორმატიული აქტებით. გარდა ამისა, არსებობს უამრავი კანონქვემდებარე აქტი, ინსტრუქცია, ბრძანებულებები, რაც ამ კანონებიდან გამომდინარეობს და გრანტების ლეგალურობის დადგენას, მის მონიტორინგს ითვალისწინებს.

თუ გრანტის საქართველოში შემოტანა საბანკო გადარიცხვის, ტრანზაქციის გზით ხდება, მისი წარმომავლობის დადგენა უმარტივესია. ექსპერიმენტი რომ ჩაატაროთ და 10 500 დოლარი ერთი ანგარიშიდან მეორეზე გადარიცხოთ, სანამ „ეროვნული ბანკი“ არ გამოიკვლევს, საიდან და რა საჭიროებისთვის არის ეს თანხა, ტრანზაქცია არ შესრულდება. ანუ, ათი ათას დოლარზე მეტი თანხის ყველა გადარიცხვა კონტროლდება. გამოიყენონ ეს საშუალება, ხელს ვინ უშლით?! მეორე ვარიანტია, რომ შესაძლოა, თანხა ტრანზაქციის სახით კი არა, ვიღაც „ქეშად“ იღებდეს და საქართველოში ისე შემოდიოდეს. ამ შემთხვევაში უნდა იმუშაოს საბაჟო, საზღვრის დაცვის სამსახურებმა. მათ ამის ვალდებულებაც აქვთ და უფლებაც. თუ თანხა საქართველოს ტერიტორიაზე ისე შემოაღწევს, რომ ვერავინ გაიგებს, რამდენი კანონიც უნდა მიიღო, როცა თანხა უკვე ჯიბეში უდევთ და როგორც გაუხარდებათ, ისე განკარგავენ, მის დეკლარირებას ენჯეოები რატომ მოახდენენ?!

— აღნიშნული კანონის ანალოგი ევროკავშირშიც დაინიცირდა. მაშინ ჩვენ რატომ გვიკრძალავენ მის მიღებას?

— ამ კანონს ოპოზიცია და დასავლეთიც, არეულობის მოწყობის საბაბად იყენებენ. მე გამჭირვალობის მომხრე ვარ. დაე, ყველამ იცოდეს, საიდან ფინანსდება ამ ენჯეოების იდეოლოგია, რითაც საქართველოს მტრობენ. ხელისუფლების ნება თუ იქნება, კანონების ამოქმედება, რაზეც ზემოთ ვისაუბრე, მარტივად შეიძლება. ვიმეორებ, ბევრი სამსახური არსებობს, ვისაც ამის გაკეთება ხელეწიფება და მიკვირს, რატომ არ აკეთებენ.

— ამ კანონპროექტების დაინიცირების შემდეგ, ოპოზიციამ დრო იხელთა და „ქართული ოცნება“ დაადანაშაულა, ცხრა დათქმის შესრულებას არ აპირებენ და არც ევროკავშირში გაწევრიანება უნდათო.

— მათ ბრალდებებზე ერთი ქართული ანდაზა მახსენდება, „ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებსო“. ვთქვათ, ხელისუფლება ცდილობს, ევროკავშირში არ შევიდეს, მაშინ, თუ ამ პროცესს ეწინააღმდეგება, ასეთ შედეგებს როგორღა აღწევს — ვიზალიბერალიზაციას, კანდიდატის სტატუსს, ევროპულ სტრუქტურებში ინტეგრაციას და სხვა.

— აქტუალურია ვეტინგის თემაც. მოსამართლეების კეთილსინდისიერების შემოწმებაზე უარის თქმა ოპოზიციამ ისევ ცხრა დათქმის შეუსრულებლობას დაუკავშირა.

— ვეტინგი წლების წინ რიგ ქვეყნებში, როგორც დასჯის მექანიზმი, ისე გამოიყენეს. თუ უცხო ქვეყნიდან ვეტინგი და ინსპექტირება გვინდოდა, ხომ ვიყავით საბჭოთა კავშირში, სადაც კრემლი აკონტროლებდა ყველაფერს, საკადრო პოლიტიკიდან დაწყებული, საფინანსოთი დამთავრებული. სხვათა შორის, საბჭოთა კავშირის არსებობის ბოლო პერიოდში, მოსამართლეთა შერჩევა ერთ-ერთი ობიექტური პროცესი იყო, არჩევნები პირდაპირი წესით ტარდებოდა. საკუთარი სასამართლო სისტემის მონიტორინგი უცხო ძალების მიერ თუ უნდა განგვეხორციელებინა, რაღას გამოვრბოდით საბჭოთა კავშირიდან?! რა მნიშვნელობა აქვს, კრემლი ჩაატარებს ვეტინგს, ევროკავშირი თუ აშშ.

მე თუ მკითხავთ, პირველ რიგში, ის კი არ არის გასარკვევი, საიდან შემოდის აქ ფული, ვინ აფინანსებს ენჯეოებს, არამედ, რა სახსრებით ფინანსდება ეს ლობისტური ორგანიზაციები“, რომლებიც ამ ე. წ. არასამთავრობოებს მხარს უჭერენ.

— სალომე ზურაბიშვილი ევროპის დროშის ქვეშ ოპოზიციის გაერთიანებას და ასე ბრძოლას აპირებს. მისი როლი როგორ წარმოგიდგენიათ ამ პროცესებში?

— ზურაბიშვილისთვის პირში მაქვს ნათქვამი, რასაც მასზე ვფიქრობ. იგი ერთი პატარა, ძაფზე გამობმული მარიონეტია, რომელსაც რამდენიმე მმართველი ჰყავს. რა უნდა ვთქვა, იგი უცხო ქვეყნების შესაბამისი სამსახურების დავალებებს ასრულებს.

— თავად ხალხი რამდენად არის მზად სწორი არჩევანის გასაკეთებლად?

— ხალხი ამისთვის მზად იყო 30 წლის წინათაც, მაგრამ ყოველი არჩევნების მერე იმდენად ხდება საზოგადოების აზრის, ცნობიერების დეგრადირება, რომ, მაპატიოს საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობამ, მაგრამ მე, მაგალითად, მათ არჩევნებში მონაწილეობის უფლებასაც არ მივცემდი. საზოგადოება 90-იანი წლების დასაწყისში შემდგარი იყო, მაგრამ შემდგომ ყველა ხელისუფლებამ, ვისაც არ დაეზარა, ყველაფერი გააკეთა საიმისოდ, რომ შემდგარი სამოქალაქო საზოგადოება განადგურებულიყო.



თამარ შველიძე

თუ კეთილსინდისიერი ხარ და არაფერი გაქვს დასამალი, რისი გეშინია?!

კანონპროექტი „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ განსახილველად პარლამენტში ისევ ბრუნდება. ვის შეეხება აღნიშნული ინიციატივა და რატომ გახდა მისი დაბრუნება აუცილებელი, ამის შესახებ კანონპროექტის ინიციატორი პარტია „ხალხის ძალის“ წარმომადგენელი დავით ქართველიშვილი გვესაუბრება.

- ბატონო დავით, ცოტა ხნის წინ, „საერთო გაზეთთან“ ინტერვიუში აღნიშნეთ, რომ „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონპროექტი განსახილველად ამ მოწვევის პარლამენტში არ დაბრუნდებოდა. თუმცა ვითარება მალევე შეიცვალა. რამ გამოიწვია აღნიშნული ინიციატივის ასეთი დაჩქარებული წესით შემოტანის აუცილებლობა?

- შარშან, მარტის მოვლენების შემდეგ, როდესაც ხელისუფლებამ უცხოური დაფინანსების გამჭვირვალობის შესახებ კანონპროეტი პარლამენტიდან უკან გაიხმო, არაერთი შეხვედრა შედგა, მათ შორის, პარლამენტის თავმჯდომარისა და სხვადასხვა თანამდებობის პირს შორის, არასამთავრობო სექტორების დონორი ორგანიზაციების ხელმძღვანელებთან. შეხვედრაზე დაისვა არაერთი შეკითხვა და რადგან მათ კანონის მიღება არ სურდათ, გამჭვირვალეობის სხვა მეთოდებზე შეთანხმდნენ. დონორი ორგანიზაციების მხრიდან მიიღეს დაპირება, რომ საზოგადოებას ექნება აბსოლუტურად გამჭვირვალე ინფორმაცია არასამთავრობო ორგანიზაციების პროექტების შესახებ და დაფინანსების მიზნობრიობა იქნება სრულიად გამჭვირვალე, მაგრამ ეს ყველაფერი ფუჭი დაპირება აღმოჩნდა. ერთი წლის განმავლობაში არცერთი დონორი ორგანიზაციის საიტზე არანაირი ინფორმაცია არ ატვირთულა გამჭვირვალეობასთან დაკავშირებით. აქ საუბარი არ არის ფინანსური ნაკადების აღრიცხვაზე, რაც წმინდა საბანკო თემაა, საიდანაც არ ჩანს მიზნობრიობა, არ ჩანს პროექტების დასახელება, არ ჩანს, თუ რისთვის არის ეს ფული გადმოსროლილი საქართველოში...

თვითონ „ნაცმოძრაობამ“ აღიარა, რომ საქართველოში ტრიალებს არამიზნობრივი პროექტებისთვის განკუთვნილი აღურიცხავი ფული. დონორი ორგანიზაციების მკვებავ მედიასაშუალებებს არაერთხელ წამოსცდათ, კი, ბატონო, გრანტებს ვიღებთ, მაგრამ რა თქვენი საქმეაო. - დაახლოებით ამ ტონით გვიპასუხა ნიკა გვარამიამ რამდენიმე დღის წინ, როდესაც განაცხადა, რომ „მთავარმა არხმა“ გრანტი მიიღო „მიზნობრიობის გარეშე“, - მერე რა, მივიღეთ და ვხარჯავთო! ასევე წამოცდა ერთ-ერთი ანტისაპარლამენტო პატრიის წარმომადგენელს, ალექსანდრე რაქვიაშვილს, რომ არსებობს არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც „გირჩის“ პოლიტიკურ საქმიანობას აფინანსებს. ეს კი საქართველოს კონსტიტუციის პირდაპირი და უხეში დარღვევის აღიარებაა. როდესაც მტკიცებულებათა ბაზა, ამ კუთხით, აღემატება ყველა დასაშვებ ზღვარს, რა თქმა უნდა, ხელისუფლება იძულებულია, შესაბამისად იმოქმედოს, რადგან ეს ყველაფერი უკვე საფრთხის შემცველია, განსაკუთრებით საარჩევნო წელს.

- სულ რამდენიმე დღის წინ, ქართველი ფეხბურთელების გამარჯვებამ თითქოს ერი გააერთიანა. ახლა კი, კანონპროექტის შემოტანის დაანონსების დღიდან, ოპოზიცია ცდილობს, საზოგადოების ნაწილი ისევ ქუჩაში გამოიყვანოს...

- არაზუსტი მონაცემებით, 10 წლის განმავლობაში, აღურიცხავი ნახევარი მილიარდი დოლარი იქნა ათვისებული ენჯეო სექტორის მხრიდან, მაგრამ ამ კოლოსალური თანხის მიმთვისებელი საზოგადოების ნაწილი ჩვენი მოსახლეობის მხოლოდ 0,25 პროცენტს წარმოადგენს, საქართველო კი საფეხბურთო მატჩის ირგვლივ იმ დანარჩენმა 99,75-მა პროცენტმა გაერთიანა, რომლებსაც ეს ფული არასდროს უნახავთ. ერთი თეთრიც არ გაუღიათ ჩვენი საზოგადოების უდიდესი ნაწილის ინტერესებისთვის, სოფლის მეურნეობის არცერთი მსხვილი პროექტი, არცერთი დიდი, საშუალო თუ მცირე ქარხანა არ აშენებულა მათი დაფინანსებით.

დღეს საერთაშორისო ფულადი ნაკადების „უპრაგონოდ“ ხარჯვის გასაგრძელებლად ყველაზე აქტიურად იბრძვის ჩვენი მოსახლეობის ის 0,25%, რომელთა ჯიბეში, საბანკო ანგარიშებზე, აგარაკის მშენებლობასა თუ ავტოსალონებში, უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში, ნახევარი მილიარდი დოლარი დაილექა. შეიძლება სულაც არ უნდა ვინმე დავით ზურაბიშვილს ან ნინო ლომჯარიას ბოდვითი არგუმენტების მოყვანა, მაგრამ ათვისებული აღურიცხავი ფული, რაც მათ კეთილდღეობას უზრუნველყოფს, მათ უკვე აგენტოკრატულად ავალდებულებს!

დღეს ეს გრანტიჭამია წურბელები საქართველოში სრული გაუმჭვირვალებლობის პირობებში მოქმედ იმ ათამდე არასამთავრობო ორგანიზაციას აფარებენ ხელს, რომლებიც რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მე-4 დეპარტამენტისა (დსთ-ის და საქართველოს დეპარტამენტი) და მოსკოვის მერიის ხაზით ფინანსდებიან. საერთოდ არ გამიკვირდება, თუ ამ სეგმენტის დასაცავად ხოშტარიას გავლით, ფინანსურად „ბონუსდებიან“ ჩვენი „პროდასავლელი არარუსულ-კანონისტები.“ დსთ-ისა და საქართველოს მე-4 დეპარტამენტისა და მოსკოვის მერიის ხაზით შემოსული ფინანსების მიზნობრიობის გამჭვირვალობის აუცილებლობას კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან გვარამია-გიგაური-ლომჯარიას კლანი და მათი სექტანტები.

საქართველოში ყველაზე მსხვილ რუსულ ორგანიზაციებს წარმოადგენენ: **Русский клуб, Всемирный совет соотечественников, Фонд поддержки и защиты прав российских соотечественников, Молодёжная ассоциация, Союз русской молодежи, Центр защиты прав российских соотечественников, Ассоциация русских женщин, Международная ассоциация молодежи, Ассоциация многонациональных женщин** და ა.შ. ამ უკანასკნელმა შეძლო და რუსულის გარდა, შარშან ევროკავშირის გრანტს, 342 ათას ევროსაც გამოჰკრა ხელი - ვითომდა, ნინოწმინდის რაიონის სოფელ გორელოვკას მოსახლეობისთვის „თეთრეულის შესაძენად“. პარალელურად კი, შეიძინეს უძრავი ქონება თბილისში, ბათუმსა თუ ბაზალეთის ტბასთან.

ამ ორგანიზაციების წევრებს ყოველწლიურად აგზავნიან სანკტ-პეტერბურგის ფორუმზე: **Форум молодежных организаций российских соотечественников и зарубежных русскоязычных СМИ „Русское зарубежье“**. მოსკოვის მერიამ საქართველოში მოქმედ რუსულ ორგანიზაციებს მედიკამენტების შესაძენად შარშან 4 მილიონი რუბლი გამოუყო. სად წავიდა ეს ფული, ღმერთმა იცის! სკანდალი მოჰყვა, ასევე, ომის ვეტერანებისთვის გამოყოფილი 200-ლარიანი ვაუჩერების დარიგებას, საიდანაც ნაწილს მხოლოდ 100 ლარი მისცეს, ნაწილი კი საერთოდ „გადააგდეს“. ან იქნებ, ზურაბიშვილ-ლომჯარიას კლანმა არასამთავრობო სექტორის რუსული სეგმენტის გამჭვირვალობის საკითხიც თავის თავზე აიღოს?! რა პრობლემაა - მთავარია ამის შესახებ ღიად და გასაგებად განაცხადონ!

- მმართველი გუნდის გადაწყვეტილებას გარკვეული ძალები დასავლეთიდანაც ეწინააღმდეგებიან. დავიჯერო, მათაც „რუსული“ ჰგონიათ ეს კანონი?

- დასავლეთს დამოუკიდებელი და სუვერენული საქართველო არ აწყობს, ეს არის აქსიომა! დასავლეთი დღეს არის იმ „ევროსაბჭოთა“ კავშირის ძალიან ცუდი კალკი, რომელსაც ჩვენ 1989 წლის 9 აპრილის შემდეგ დავემშვიდობეთ. ამიტომ „უის“ გავეყაროთ იმისათვის, რომ „ვაის“ გადავეყაროთ - ამას საქართველოს უახლოეს რეალობაში ადგილი არ ექნება. დასავლეთს ხელისუფლებაში სჭირდება თავისი ლაქიები, მარიონეტები, აგენტები, რასაც ადგილი ჰქონდა ცხრა წლის განმავლობაში, მაგრამ ეს საქართველოში აღარ განმეორდება. თუ დასავლეთს არ სურს საბოლოოდ გადაჭრას ის ტოტი, რომელზეც სხედან სამხრეთ კავკასიაში და ამ ტოტს საქართველო ჰქვია, - მაშინ კეთილი ინებონ და უფრო სერიოზული ანალიზი ჩაატარონ საკუთარ წიაღში. ამ სამი სამხრეთკავკასიური რესპუბლიკიდან, ერთადერთი ქვეყანა, რომელიც ჯერჯერობით ჰააგის ევროინტეგრაციულ მისწრაფებას კონსტიტუციის დონეზე ინარჩუნებს და დასავლეთთან პარტნიორული ურთიერთობებისთვის მზად არის - საქართველოა. აზერბაიჯანთან უკიდურესად დაძაბული ურთიერთობები აქვს დასავლეთს, განსაკუთრებით, საფრანგეთს და აშშ-ს; არც სომხეთის პროდასავლურობის მოლოდინი უნდა ჰქონდეთ დიდად! ამიტომ საქართველოს დაკარგვით ისინი დაკარგავენ მთლიანად სამხრეთ კავკასიას. ისინი დაკარგავენ „აბრეშუმის გზის“ უმნიშვნელოვანეს ნაწილს, რომელიც ტოკიოს ლისაბონთან აკავშირებს, საქართველოსა და სამხრეთ კავკასიის გავლით. კი ბატონო, იყვირონ, გამოვიდნენ უაზრო ბოდვანარევი განცხადებებით, მაგრამ საქართველოს, მის მოსახლეობას, ჩვენს საზოგადოებას, ჩვენს ხელისუფლებას ვერაფრით დააშინებენ და თუკი ვინმე ან რაიმე დაზარალდება, ეს, პირველ რიგში, მათივე ინტერესები იქნება.

ორი წლის განმავლობაში, ევროპარლამენტის ვიცე-სპიკერი და ევროპარლამენტის რიგი დეპუტატები კორუფციაში და უზარმაზარი თანხების მითვისებაში ამხილეს. ევროკომისიის ყოველწლიურ ანგარიშებში ადრე ღიად იბეჭდებოდა იმ თანხების ოდენობა, რაც კორუფციაში იხარჯება ევროკავშირის სივრცეში. ევროკავშირი თვითონაც აცნობიერებს, რა ოდენობის შავი ფულის გათეთრებას აქვს ადგილი მის სივრცეში და როგორი გაუმჭვირვალეა ფულადი ნაკადის შემოდინება, მაგრამ ჩვენგან მაინც მოითხოვს, რომ ბრმად ვენდოთ მათ კეთილსინდისიერებას.

როგორც აღვნიშნე, ერთი წლის განმავლობაში იყო არაერთი მცდელობა, კანონის მიღების გვერდის ავლით მიგვეღო პასუხები კონკრეტულ შეკითხვებზე, მაგრამ ჩვენ ამ ინფორმაციას გვიმალავენ! თუ კეთილსინდისიერი ხარ და არაფერი გაქვს დასამალი, რისი გეშინია? - ამაზე გაგვცენ პასუხი!

- იქნებ, უფრო კონკრეტულად აგვიხსნათ, ვის შეეხება ეს კანონი, რატომ და რა კონკრეტული მიზნით არის მისი შემოტანა აუცილებელი?

- „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონპროექტი ეხება მხოლოდ ენჯეოებსა და მედიაორგანიზაციებს, რომელთა შემოსავლების 20 პროცენტზე მეტი უცხოეთიდან არის - სხვას არავის, არც სტუდენტებს, არც მეცნიერებს, არც ფერმერებს, არც ემიგრანტებსა და მათ ოჯახებს, არცერთ ფიზიკურ პირს კანონპროექტი არ ეხება. აღნიშნული ინიციატივა ემსახურება საზოგადოების ინტერესთა დაცვას, ხელს უწყობს მოქალაქეთა ინფორმირებულობას, უზრუნველყოფს ენჯეო სექტორის ფინანსურ გამჭვირვალობასა და ღიაობას და წარმოადგენს ეფექტურ ინსტრუმენტს დემოკრატიის ერთ-ერთი მთავარი ღირებულების, გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად. საზოგადოებამ უნდა იცოდეს, საიდან ფინანსდება ლგბტ პროპაგანდა, ექსტრემისტულ-რევოლოციური სცენარების გათამაშება, სხვადასხვაგვარი ანტისახელმწიფოებრივი ქმედება, პოლარიზაციის გაღვივება, ეკლესიის შეურაცხყოფა და უმძიმესი ანტიეროვნული კამპანიები!

ანალოგიური კანონმდებლობა არსებობს ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა აშშ, ისრაელი, ავსტრალია. გასული წლის განმავლობაში მსგავსი კანონპროექტის განხილვა დაიწყო ევროკავშირში, დიდ ბრიტანეთში, საფრანგეთში, კანადაში, სლოვაკეთსა და უკრაინაში.

ხელისუფლება და „ხალხის ძალა“ შშმ პირებს, სტუდენტებს, მასწავლებლებს, სპორტსმენებს, კულტურის მუშაკებს, ფერმერებს... აძლევს უნიკალურ შესაძლებლობას - მათთვის განკუთვნილ პროექტებზე გამიზნული თანხები ამ წურბელებისა და მავნებლების საბანკო ანგარიშებზე არ დაილექოს, რომ ამ მავნე პრაქტიკას საბოლოოდ დაესვას წერტილი, რათა ქვეყნის სასიკეთოდ იხარჯებოდეს ის, რითაც დღეს მხოლოდ ქართველი "ბრაჰმანები" სარგებლობენ.

ნონა ქარქაშაძე

ჩვენ ევროსოდომია კი არა, მათთან თანასწორი ურთიერთობა გვინდა

გვესაუბრება დამოუკიდებელი უფლებადამცველი, ყოფილი პარლამენტარი ДИМИТРИ ЛОРТКИПАНИДЗЕ:

— ბატონო დიმიტრი, პარლამენტში ფსევდოლიბერალური იდეოლოგიის წინააღმდეგ კანონპროექტის განხილვა იწყება. როგორ აფასებთ, ხელისუფლების ამ ინიციატივას?

— ხელისუფლების საკანონმდებლო ინიციატივები ბევრად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს. პარლამენტში ერთდროულად სამი ინიციაცია შევიდა, აქედან, ერთ-ერთი საკონსტიტუციო კანონპროექტია, რაც ოცდასამ საკანონმდებლო აქტში ცვლილებების განხორციელებას გულისხმობს. მათ შორის, ცვლილებები შედის „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონში, ასევე, „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ კანონში. ასევე ცვლილებები შედის არასრულწლოვანთა მავნე ზეგავლენისაგან დაცვის კუთხითაც.

მეორე მიმართულებაა შუბი პირდაპირ ლიბერალური სისტემის მკერდში, ე. წ. კვოტირების სისტემის გაუქმება. მოგეხსენებათ, გენდერის უკან იგულისხმება არა ქალი, არამედ სწორედ ის პერვერტები, ტრანსგენდერები, რომელთა საარჩევნო სიებში ჩასმის ვალდებულების წინაშე გლობალური დასავლეთი გვაყენებს. ნუ დაგვავიწყდება, რომ ქალთა უფლებებზე ვითომ მზრუნველი ანა ნაცვლიშვილი, გრანტებს იმაში იღებს, რომ ჩვენი შვილების გარყვნა, კანონად აქციოს. იმავეს ცდილობენ: ხატია დეკანოიძე, ვანო მერაბიშვილი, ანი წითლიძე, რომელიც ნეობოლშევიკი, ნეოტროცკისტი, ნეოკომკავშირელი სულისკვეთების გარეწარია. იგი ყველა ღონეს ხმარობს, რათა გარკვეული პირების მიმართ შეურაცხყოფის მიყენებით პროვოცირება მოახდინოს.

აშკარაა, რომ ოპოზიციის მხრიდან, საქმე, უბრალოდ, წინასაარჩევნო ტრიუკთან არ გვაქვს. კანონი, რომელიც ენჯეო სექტორის დაფინანსების გამჭირვალობის უზრუნველყოფას ეხება, ძალაში თუ შევა, გლობალური დასავლეთი და მისი ადეპტი თხუთმეტი გეი-პოლიტიკური პარტიის გაერთიანება, რა კონფიგურაციითაც უნდა წარსდგნენ, ვერცერთ არჩევნებს ველარ მოიგებენ.

„საერთო გაზეთთან“ ინტერვიუში არაერთხელ აღვნიშნე, რომ აპრილ-მაისში მნიშვნელოვანი ცვლილებები იქნებოდა და ასეც მოხდა, დაიწყო საკანონმდებლო ტრილოგიის ინიცირება, რამაც გლობალური დასავლეთის ადეპტი პოლიტიკური ძალები სრულ ისტერიკაში ჩააგდო. ისინი საქართველოს სახელმწიფოებრიობის მიმართ მტრულად განწყობილი ძალები არიან, რომელთაც გააჩნიათ მიზანი: არ მოხდეს საქართველოს სუვერენიზაციისთვის ბრძოლა.

შემირცხვენია ყველა ის პოლიტიკოსი, რომელიც ქვეყნის სოდომიზაციის წინააღმდეგ ხმას არ აღიმაღლებს. შემირცხვენია ყველა ის პოლიტიკოსი, რომელიც ფსევდოლიბერალური იდეოლოგიის წინააღმდეგ მიმართულ კანონპროექტს მხარს არ დაუჭერს. მეტიც, ნებისმიერი დეპუტატი, რომელიც გეი-პროპაგანდის წინააღმდეგ მიმართულ საკანონმდებლო ინიციატივას ჩააგდებს, ქართული ეკლესიისგან ანათემაზე გადაცემას იმსახურებს. ეკლესია ამ საკნონმდებლო ინიციატივას გვერდით უნდა დაუდგეს, რათა არ განმეორდეს ის, რაც გლობალურმა დასავლეთმა საბერძნეთში გააკეთა — მართლმადიდებლობის ფორპოსტი სახელმწიფო მუხლებზე დააჩოქა და იქ ერთსქესიანთა ქორწინება დააკანონა. ეს ბერძენი ხალხისთვის, განაჩენია. სწორედ საბერძნეთის მსგავსი ქვეყნების წინააღმდეგ ბრძოლაა გლობალური დასავლეთის მთავარი ამოცანა და მიზანი.

შემთხვევით არაფერი ხდება — დღეს საბერძნეთის, ხვალ კი ჩვენი რიგი დადგება. გლობალური დასავლეთი ხვალ-ზეგ შეგვახსენებს: ხომ არ დაგავიწყდათ, რომ ევროკავშირის კანდიდატობა ავანსად მოგეცით, თუ გნებავთ წევრობა, სტატუსის შენარჩუნება, მაშინ ჩვენი დავალება ცხრა პუნქტი უნდა შეასრულოთო, სადაც ორი პუნქტი სწორედ ლგბტ თემატიკას ეძღვნება.

ერთ-ერთ პუნქტში, ერთი მხრივ, ყველა იმ ორგანიზატორის დასჯის მოთხოვნაა ჩადებული, რომელმაც 5 ივლისს ორგანიზება გაუწია საყოველთაო, სახალხო თავყრილობას, ხოლო მეორე მხრივ, გაწერილია ყველა გეი-აქტივისტის როგორც აღმასრულებელ, ისე საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლებაში ჩასმის ვალდებულება. სწორედ ეს არის გენდერული კვოტირების ერთ-ერთი მთავარი საკითხი. დასავლეთი გვეუბნება: გნებავთ, ჩვენგან მოწყალება მიიღოთ და ევროსოდომის წევრი გახდეთ, მაშინ ჩვენი დავალებები პირნათლად შეასრულეთო. ჩვენ ევროსოდომია კი არა, ევროპასთან თანასწორი ურთიერთობა გვინდა. დიახ, ევროკავშირისეული ინდოქტრინაცია არ გვინდა.

ეს ქართველი ერის უდიდესი ნაწილის ხმამაღლა ნათქვამი სიტყვაა. იმ ერისა, რომლის წიაღშიც დავიბადე, ვცხოვრობ, ვხარობ და ვზრდი ჩემს რვა შვილსა და ხუთ შვილიშვილს. დიახ, ჩვენ გვინდა დასავლეთთან თანასწორი ურთიერთობა, მაგრამ არ გვინდა მის მიერ თავს მოხვეული იდეოლოგია.

საქართველო ცივილიზაციათა გზაჯვარედინზე მყოფი ქვეყანაა. ჩვენ არსაიდან მოსული ქართველი ერი ვართ, რომელმაც არაერთი წარმატება იზეიმა. საქართველოს განსაკუთრებული სტატუსი გააჩნია, რაც გლობალურმა დასავლეთმა უნდა გაითვალისწინოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მთელი ერი ფეხზე დავდგებით და ამ სამ საკანონმდებლო ინიციატივას: ლგბტ პროპაგანდის აკრძალვას, გენდერული კვოტების გაუქმებას (რომელიც უკვე კანონიერ ძალაში შევიდა) და ენჯეოების დაფინანსების გამჭირვალობის უზრუნველყოფას, კბილებით დავიცავთ. ეს კანონპროექტები აუცილებლად უნდა ამოქმედდეს და სამართლიანობა აღადგინოს.

სამართლიანობა კი ვერ დაისადგურებს, თუ ჩვენ ქვეყანაში საშუალო კლასის ნაცვლად, ოცი ათასი 400 მილიონი ლარით დაფინანსებული ბენეფიციარი გვეყოლება. ამ თანხას დასავლეთი ყოველწლიურად გამოყოფს იმისთვის, რომ ქვეყანაში ფსევდოინტელიგენცია, ფსევდოსაშუალო ფენა შექმნას, რომელიც არაფერს აკეთებს გარდა იმისა, რომ ამ გრანტებს მოიხმარს, რისგანაც არავითარი სარგებელი ქვეყანას არ აქვს. დასავლეთს აწყობს, საქართველოში კარგად გამძღარი, დაფინანსებული ადეპტები ჰყავდეს. 20 ათასი ადამიანი ცოტა არ არის. ეს საკმარისია, რათა პოლიტიკურ პროცესში დასახულ ამოცანებს მიაღწიო. სწორედ ასე მოხდა 7-8 მარტს, როცა ყველა დაფინანსებული ენჯეო ფეხზე დადგა: არიქა, შემოსავლებს ვკარგავთო და თავიანთი ინტერესების დასაცავად ქუჩაში გამოვიდნენ. დღეს, როცა სახელმწიფომ საზოგადოებას ამ ყველაფრის სამართლებრივი მხარეები განუმარტა, ენჯეოებმა ქუჩაში მხოლოდ 40 ადამიანის გამოყვანა შეძლეს. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ ისინი ხალხის მობილიზებას ვერ მოახდენენ. როგორც აღვნიშნე, დასავლეთისგან გრანტს ოცი ათასი ადამიანი იღებს. თუნდაც ამის ნახევრის ქუჩაში გამოსვლის შესაძლებლობა არსებობს. ამიტომ სახელმწიფომ უფრო მკაცრი ქმედებები უნდა განახორციელოს, ვიდრე შარშან ვიხილეთ. განაჩენი არამარტო აღმსრულებლების, არამედ ორგანიზატორების მიმართაც უნდა დადგეს და მიმდინარე პროცესების როგორც სამართლებრივი, ისე პოლიტიკური შეფასება მოხდეს. თუკი არეულობის მოწყობის მცდელობა იქნება, ამას ადეკვატური კონტრქმედება უნდა მოჰყვეს. საზოგადოების ჯანსაღმა ნაწილმა საქართველოს პოლიციას, სპეცდანიშნულების რაზმებს მორალური მხარდაჭერა უნდა აღმოუჩინოს. არცერთი ნაბიჯი უკან! — ხელისუფლების მიერ ინიცირებული კანონები უნდა აღსრულდეს!

— რამდენად მზად არის ხალხი ამ საკანონმდებლო ინიციატივების მისაღებად?

— მოდი, გავაანალიზოთ, რეალურად რასთან გვაქვს საქმე. თვალსაჩინოებისთვის მოვიყვან მაგალითს: „ნაცმოძრაობის“ აქტივისტის, ცესკო-ს ყოფილი თავმჯდომარის ლევან თარხნიშვილის მეუღლე ნინო თარხნიშვილი ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის დირექტორი გახლავთ. მის ფუნქციაში სოციოლოგიური კვლევებისთვის საველე სამუშაოების განხორციელება შედის, რასაც ყოველთვის დამკვეთი ჰყავს. ესენი არიან „ენ-დი-აი“ და შვედეთის მთავრობა. ანუ, აშშ-ის კონგრესის მიერ დაფუძნებული „ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი“ საქართველოში კვლევების ჩატარებას შვედეთის სამეფოს უკვეთავს, ეს უკანასკნელი კი ამის განხორციელებას თარხნიშვილის მეუღლეს ავალებს, რომელიც დასკვნას თავად წერს. 2014 წელს თბილისის მერობის კანდიდატი ვიყავი, მაშინ „ენ-დი-აის“ კვლევების მიხედვით, 1,5% მერგო, სინამდვილეში კი 13% ავიღე. ნინო თარხნიშვილმა შედეგები 10%-იანი ცდომილებით გამიყალბა. როცა პირი სისხლის სამართლის დანაშაულს სჩადის, განა სახელმწიფოს არ აქვს უფლება, მოიკითხოს, რის სანაცვლოდ, რა დაფინანსების გამო აკეთებს ამას ნინო თარხნიშვილი?! „ენ-დი-აი“ პირდაპირ კი არ უკვეთავს კვლევას, არამედ შვედეთის სამეფოს გავლით, კვალი კარგად რომ აირდაირიოს, რათა მერე სათქმელი ჰქონდეს: მე არაფერ შუაში ვარ, უბრალოდ, პროცესს ვზედამხედველობდი, კვლევა შვედეთის სამეფომ დაუკვეთაო.

ასევე, გავიხსენოთ ტრენინგები, რასაც სემინარების ხასიათი აქვს. აკერმანი პირდაპირ „ნაცმოძრაობის“ კონსპირაციაშია მხილებული. ასევე, სერბეთიდან ჩამოყვანილი ტრენერები, რომლებიც „ფრანკლინის კლუბის“ წევრებს ატრენინგებდნენ, თუ როგორ უნდა ეწარმოებინათ დესტრუქციული საქმიანობა და დესტაბილიზაცია გამოეწვიათ. ეს ხომ გუშინ იყო. ამ თანხებს კონკრეტული არასამთავრობოები იღებენ. კიდევ ერთ მაგალითს მოვიყვან: მსგავსი ენჯეო ჰქონდა ნაჯა ორაშვილს, რომელიც კლუბ „ბასიანის“ ერთ-ერთი მთავარი იდეოლოგი იყო. იგი ამბობდა: ღამის კლუბ „ბასიანის“ ბაზაზე პოლიტიკური პლატფორმა უნდა გაკეთდეს, რომელიც ნეოლიბერალური იდეების მატარებელი ახალგაზრდებით გაივსებაო. აი, რაში იხარჯება დიდი ფული. კიდევ ერთ მაგალითს გეტყვით: ნიკა გვარამიამ პოლიტიკური პარტია „ახალი“ დააფუძნა. იგი ასევე ფლობს ტელეკომპანია „მთავარს“, რომლის 5%-მდე წილის მფლობელი გიული ალასანიას უნივერსიტეტი „საქართველოა“. ისმის კითხვა: რაში სჭირდება უნივერსიტეტს „მთავარის“ აქციების ფლობა? — იმისთვის, რომ საგანმანათლებლო გრანტები შემდგომ მედიაპროექტებში ჩაიდოს, რომელსაც „საქართველო“ „მთავართან“, ანუ გიული ალასანია ნიკა გვარამიასთან ერთად განახორციელებს. ანუ, მიხეილ სააკაშვილი გვარამიასთან ერთად კონკრეტულ პოლიტიკურ პროექტს განახორციელებს. ამიტომ სახელმწიფო ვალდებულია, დაწყებული საქმე ბოლომდე მიიყვანოს. კორძაიებს, ლომჯარიებს, ამ „ასოცირებულ პროფესორებს“ სტუდენტებთან აქვთ წვდომა. გიორგი მელაძე,

რომელიც „ილიაუნის“ ასოცირებული პროფესორია, პატრიარქს ლექციებზე განიკითხავს. ჩემმა შვილმა დატოვა ეს უნივერსიტეტი, რადგან ლექტორი უწმიდესს შეურაცხყოფდა. „ილიაუნი“ სატანის ბუდედ, ნეოლიბერალი ახალგაზრდების სამჭედლოდ იქცა.

ბევრი მაგალითი მოვიყვანე იმისა, თუ რატომ უნდა იჩქაროს ხელისუფლებამ ამ ინიციატივების კანონად ქცევა — რათა ამ გარეწრებმა ხელი ველარ მოითბონ იმ უკანონო დაფინანსებით, რასაც აუცილებლად ქვეყნის დასაქცევად გამოიყენებენ. ამას ემატება ისიც, რომ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი, საელჩოები, დიპლომატიური კორპუსი, მათ ამ სიყალბეში მხარს უჭერს. ამიტომ მიმაჩნია, რომ უკანონო დაფინანსების კონტროლი, ლგბტ პროპაგანდის აკრძალვა, ე. წ. გენდერული კვოტირების გაუქმება აბსოლუტურად დროული, სწორი ნაბიჯია. ხელისუფლება აპლოდისმენტებს ნამდვილად იმსახურებს.

თამარ შველიძე

ამ „შავი“ ფულით რევოლუციური პროცესებისთვის მზადებაა დაგეგმილი

„საერთო გაზეთის“ სტუმარია კინორეჟისორი გოგა ხაინდრავა:

— ბატონო გოგა, ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება, „უცხოური გავლენის გამჭირვალობის შესახებ“ კანონპროექტი პარლამენტში განსახილველად დააბრუნოს. როგორ ფიქრობთ, მიზეზი რა არის?

— მიზეზი მარტივია, საკუთარი ქვეყნის სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის დაცვის მტკიცე ნება ფსევდოდემოკრატი პოლიტიკოსებისგან, რომლებიც, როგორც გაირკვა, ერთი ცენტრიდან ღილაკზე თითის დაჭერით იმართებიან. გაეროდან დაწყებული ნატო-ს გენერალური მდივნით დამთავრებული, ყველანი ერთი მესიჯბოქსით ხელმძღვანელობენ. ე. წ. დემოკრატიულ სამყაროში სამარცხვინო ვითარებაა შექმნილი. მათ სურთ, თავიანთი მოსყიდული პოლიტიკოსები, ენჯეოები, ფონდები, ანუ საკუთარი აგენტურა, როგორმე გაახელისუფლებონ და მათი მეშვეობით ჩვენი ქვეყანა უსიტყვო, მუდმივ მორჩილებაში ამყოფონ. ხელისუფლების მიერ ინიცირებულ კანონპროექტზე ამ კოლონიზატორების თავდასხმა რა გასაკვირია, როდესაც „ევროსპარლამენტში“ — 550-მა დეპუტატმა მხარი დაუჭირა რეზოლუციას, სადაც საუკაშვილის დაუყოვნებლივ საავადმყოფოში გადაყვანას ითხოვდნენ, მაშინ, როდესაც მიშა „ვივამედში“ რვა თვის წინ იყო გადაყვანილი. ეს ჩვენ საბჭოთა კავშირში უკვე გავლილი გვაქვს! ხელმომწერებს არც კი წაუკითხავთ, ხელი რას მოაწერეს!

ევროკავშირი თავის ევროსაბჭო-ევროპარლამენტიანად მთლიანად ჩალპა. ამ გაერთიანებას, რა სახითაც ახლაა წარმოდგენილი — კუბილიუს-ფოტიგებით, მომავალი არ გააჩნია. რა ნატო-ს გენერალური მდივნის საქმეა, საქართველოში ინიცირებული კანონპროექტი?! განა შეიძლება, ნატო-ს გენერალური მდივანი რეაგირებდეს პარლამენტში ორი დღის შემოტანილ ჯერ მხოლოდ საკანონდებლო ინიციატივაზე მაშინ, როცა, მსოფლიოში უმძიმესი ვითარებაა — შუაგულ ევროპაში და ახლო აღმოსავლეთში ორი ფართომასშტაბიანი ომი მიმდინარეობს, რაშიც ნატო პირდაპირ ჩართულია. ნატო-ს გენერალური მდივანი ასეთ განცხადებას რომ გააკეთებს, მის ორგანიზაციას რა მომავალი უნდა ჰქონდეს?!

საქართველოს თავისი გზა და ათასწლოვანი თავგადასავალი აქვს. ქართული საზოგადოება, სახელმწიფო მომწიფდა საიმისოდ, რომ ამ უსირცხვილოებს სათანადო პასუხი გასცეს. ევროპული ქვეყნები, რომელთაც ჰგონიათ, რომ დემოკრატიული სამყაროს ნაწილი არიან, ძალიან მეცოდებიან. უბედურება ის არის, რომ მათ არ ძალულთ, თავად გადაწყვიტონ საკუთარი ბედი — რასაც „შტაბიდან“ ჯონ „მწვანე“ ბასი უკარნახებს, ექოსავით იმავეს ამოსძახებენ. ეს არარაობა, რომელიც აქ ელჩად ბრძანდებოდა, 26 მაისს ჩადენილ ბარბაროსობას ამართლებდა. სტოლტენბერგიც მის დაკრულზე ცეკვავს. ამის მერე რაზე ვლაპარაკობთ. ასეთმა დასავლეთმა ომი როგორ უნდა მოიგოს, როგორ უნდა დაამარცხოს ეს „ნაბუქოდონოსორი“, რომელმაც ცენტრალური ევროპის უდიდესი ქვეყანა — უკრაინა გატკეპნა. რისი მაქნისები არიან ეს ჩასვრილი, დაკომპლექსებული, სქესგაურკვეველი ჩინოვნიკები. ქართველ „აღშფოთებულებზე“ ლაპარაკიც კი ზედმეტია, პროტესტის სათავეში ნატა ფერაძე რომ გეყოლება, ხომ ხვდებით, რა დღეშიც არიან. ეს უსამშობლო, სამარცხვინო ხალხი ერთად შეიკრიბა. „ლელოს“ გაპროტესტებული არ გაიშვას არსად, ხაზარაძის, ამ ღალატის ფორმულის თამადობით. ქართულ საზოგადოებას შესაძლებლობა აქვს და, რაც მთავარია, ნება, თავად გადაწყვეტს, რა გზით წავიდეს. ამ ფორმაციის ევროკავშირიც და ნატო-ც მომაკვდავი ორგანიზაციებია.

— კანონპროექტის თანახმად, ორგანიზაციებს წელიწადში ერთხელ, იანვარში ხარჯების დეკლარირება ევალებათ. რატომ არის ეს ე. წ. ოპოზიციისთვის ასე მიუღებელი?

— ხელთ მაქვს ურსულა ფონ დერ ლაიენის ევროკომისიის დასკვნა ანალოგიურ კანონთან დაკავშირებით, რომელიც ევროკავშირის საპარლამენტო ასამბლეაზე დაიინიცირეს, სადაც ყურადღებას მის აუცილებლობაზე ამახვილებენ. რა გამოდის, ევროკავშირისთვის, ამერიკისთვის, საფრანგეთისთვის, ისრაელისთვის ამ კანონის მიღება აუცილებელია და საქართველოსთვის აკრძალულია, რადგან ეს მათ აგენტურას ეხება?! ევროკავშირი საბჭოთა კავშირად გადაიქცა. ამერიკელები ზუსტად იმ ბოროტების იმპერიას დაემსგავსნენ, რასაც თავის დროზე თავადვე ებრძოდნენ და რის გამოც ვცემდით ამერიკას პატივს და მასთან სტრატეგიული პარტნიორობაც იმიტომ გადავწყვიტეთ. დღეს, თავის ბაიდენიანად, რომელიც ცოლს საპირფარეშოს კარისგან ვერ არჩევს, ჩერნენკოს საბჭოთა კავშირს დაემსგავსნენ. დღეს მსოფლიოს აპოკალიფსური პერიოდი უდგას. ამიტომ ქართველი ხალხი უნდა დაფიქრდეს, ვისთან გვაქვს საქმე. ის, რომ ნატო დაგვიცავს, მითია. ხომ ვხედავთ, უკრაინა როგორც დაიცვა. გავიძახით: ევროკავშირი უსაფრთხოების გარანტიაა. საკუთარი უსაფრთხოება არ იციან, როგორ დაიცვან და ჩვენ რა გარანტია უნდა მოგვცენ?! მითებში ცხოვრების დრო დამთავრდა.

რაც შეეხება კანონპროექტის ინიცირებით ოპოზიციის შეშფოთებას, მათი წუხილის მიზეზი გასაგებია, მოსყიდულები არიან და ფულის დაკარგვის საფრთხე ექმნებათ. ეს „შავი“, უკონტროლო ფულია, რომლითაც მოლოტოვის კოქტეილების დამზადება და ადამიანების ცოცხლად დაწვაა დაგეგმილი. ასევე, რევოლუციური პროცესების მომზადება. ჩვენ ხომ ვნახეთ კადრები, თუ როგორ „ამეცადინებს“ ახალგაზრდებს შარვალჩახდილი ჯაფარიძე ავტომატის სროლაში. მაგის ნასროლი არ გაიშვა, მაგრამ ახალ თაობას ხომ წამლავს. საიდან გაჩნდა საქართველოში მოლოტოვის კოქტეილების დამზადების დირექტივა? — როდიდან გახდნენ ურსულა ფონ დერ ლაიენი და ბლინკენი მოლოტოვის მიმდევრები?! მადლობა ღმერთს, ქართველი ხალხი ყველაფერს ხვდება. ჩვენთან ეს აღარ გაუვათ, ამ ჭინკების მატარებელმა ჩაიარა. მათი დიდება გუშინწინდელ დღეში ჩარჩა. დეგნანსაც ეგონა, რომ „პარადი“ მიჰყავდა ჩვენთან, მწვერვალზე იყო, თუმცა თავისი კარიერა გარაჟში საქმის გარჩევით დაასრულა. მისი ადგილი სწორედ იქ არის.

— ბატონო გოგა, კანონპროექტის ინიცირების მერე, ოპოზიციურ ტელეარხებს პირზე აკერიათ, რუსული კანონიაო. რა არის მასში რუსული?

— ეს ტელესაროსკიპოები, ამავდროულად, „სადაზვერვო დაწესებულებები“, იმ ძალების ინტერესებს ემსახურებიან, ვისაც მიზნად ჩვენი ქვეყნის საომარ პოლიგონად გადაქცევა განუზრახავთ. საერთო ჯამში კი, ომის პარტიის ინტერესებს ატარებენ, რომლის სათავეში სოროსები, როკფელერები, როტშილდები და ა. შ. დგანან. როგორ ფიქრობთ, კეზერაშვილი რატომ აფინანსებს „ფორმულას“, რაიმე იდეოლოგია გააჩნია? იგი თავისი არსით, განათლებით, ცოდნით განათლებული და დემოკრატიული ევროპა იყო კანონი, სამართალი, წესრიგი, ზნეობა, კულტურა. დღეს რად გადაიქცა?! ადეიშვილი, რომელიც ადამიანებს აუპატიურებდა, გვამებზე აბამდა, დღეს ბრიუსელში, ბერლინში, ჰააგაში თავისუფლად დასეირნობს, მათი მეგობარი და პარტნიორია! ეს არის დღევანდელი ჩინოვნიკური ევროპა. ოღონდ, არა ევროპელი ხალხი, ცივილიზაცია, არამედ ბიუროკრატია, რომელიც ევროპას ღუპავს. ამის შედეგს ევროპა უკვე იმკის.

ანგლოსაქსური იმპერია ჩამოლპა და ფიქრობენ, რომ ამ ლაფში ჩვენც ჩაგვითრიონ.

„დემოკრატიის ეროვნული ფონდი“ საქართველოს ტერიტორიაზე არსებული სადაზვერვო დაწესებულებაა, რომელიც მის მიერ მოსყიდულ დაჯგუფებებს აფინანსებს. ამ ფონდებში ერთი-ორი ადამიანი მუშაობს. გვეუბნებიან, რომ 50 ორგანიზაცია პროტესტს აცხადებს. რას აკეთებენ ეს ორგანიზაციები, ვინ დგას მათ უკან?! — მხოლოდ სახელწოდებები და დავალებები. მათი მიზანია, საქართველო მუხლებზე იდგეს და რასაც ეტყვიან, შეასრულოს. თუ დავალება არ შესრულდება, ამ ჭინკებს შემოგვასვენენ.

თავად არასამთავრობოები არიან პოლიტიკურ პარტიებში, პარტიები არასამთავრობოებში, მედასავლეთეები კომკავშირლებში, კომუნისტები კონსერვატორებში, ყველანი ერთად კი ლეიბორისტ-პროკურორ შალიკოს ფანჩატურში. ხაზარაძე, „ლელოს“ ჩრდილოვანი მაყურებელი, აშშ-ში დახურულ შეხვედრებს მართავს. ისეთი ბეცია, ისიც არ იცის, რომ პოლიტიკური ლიდერები უცხო ქვეყნებში დახურულ შეხვედრებს არ მართავენ. ასე დაზვერვის აგენტები იქცევიან. შედეგად, გუნდი შეკრეს, მოფიქრება ხომ უნდოდა: უსუფაშვილი ამჟამად „ტაივანჩიკი“, როგორც კომუნისტების დროს იტყოდნენ, მის ყოფილ პარტიაში - „პო სოვმესტიტელსტვუ“, აქეთ ნაცვლიშვილი „უმანკო“ იურისტთა ასოციაციიდან, იქით სამადაშვილი „დიპლომატიური ნაცი“, გეგელია „ამოუცნობი მფრინავი ობიექტი“, ჯაფარიძე, როგორც გვარამიას საყვარელი სალომე პრეზიდენტი იტყოდა - „მართლმადიანი“ ლგბტ დროშით ხელში. ამათ პოვნა ხომ უნდოდა. გაირკვა, რომ დოლარს ჰქონია ასეთი თვისება, მსგავს პერსონაჟებს იწებებს.

— რა ბედი ელით უცხოელ აგენტებს გამოააშკარავების შემდეგ?

— რაც ყველა აგენტს, რომელიც უცხო ქვეყნის ინტერესებს ემსახურება! სირცხვილი და თავის მოჭრა!

— პაპუაშვილმა განაცხადა, რაც შარშან ოპოზიციას გაუვიდა, წელს აღარ გაუვაო. რა რეაგირებას ელოდებით ამჟამად ქართველი ხალხისგან?

— მამიკოს დუნდულების ბებუთით მჭრელი, ცეცხლის მფრქვეველი, ევროსკავშირის თანავარსკვლავედში „ჩაკარტოჩკებული“ ლაზარეს დროშის ფრიალით თუ შეგვიტევს „შიგ ევროპის“ დამცველთა რაზმი, ნატა ფერაძისა და „რუსული ბანის“ ბურჭულაძის წინამძღოლობით. ფლანგებს თუ ორი ნიკა და მათი პარტნიორი კიკა გაამაგრებენ, ხოლო ავანგარდში აბჯარასხმული „ხალხოსანი ალეკო“, პრარაბი კიკუს და მისი კლონით გაძლიერებული იქნებიან, მაშინ მოგვიწევს საერთო სახალხო მობილიზაციის გამოცხადება, სხვა გზა არ გვექნება. ხოლო თუ „თბილისი პრაიდი“ დაემატათ, შარვალჩახდილი „ზურა-გირჩი“ ჯაფარიძის უკუსვლით და თაკო ჩარკვიანი... მაშინ უნდა დავფიქრდეთ, რა გამოსავალი იარსებებს.

— ზურაბიშვილი „ევროპული გზის საბოტაჟს“ აპროტესტებს და ოპოზიციას წინ ევროპის დროშით მიუძღვება.

— ზურაბიშვილზე ფიქრიც მზარავს. ინფორმაციამ გამოჟონა, რომ ლგბტ დროშის ტარად აპირებენ მის გამოყენებას! უკვე მეშინია...

— ოპოზიციის ნაწილი რუსეთის გავლენისგან დაცვის პროექტს აინიცირებს...

— რუსეთის ძუძუზე გაზრდილი გახარია აინიცირებს ანტირუსულ კანონს?! არ გამაცინოთ! არ ვიცნობდე მაინც. დაველოდოთ! პარასკევი და ხვალეო...

თამარ შველიძე

ვირის ჭკუაზე არ უნდა იარო!

მოხდა სასწაული და ვირი ცხოველთა მეფე გახდა. რამდენიმე დღეში მან კანონი მიიღო, რომ ტყის ყველა ბინადარს საღამოს 9 საათიდან დილის 9 საათამდე უნდა სძინებოდა. ერთ დილას მამალს გულმა აღარ მოუთმინა და დილის 5 საათზე რიხიანად დაიყივლა. მეფე ვირის ხელქვეითებმა სასწრაფოდ სტაცეს ხელი, გაიმართა სასამართლოც და მამალი სამაგალითოდ დასაჯეს, თავი მოაჭრეს. ტყეში შიშმა დაისადგურა, თუმცა სიმშვიდე კი დამყარდა.

გავიდა წლები და დაბერდა ვირი, სასურველ ადგილზე კარგად მოეწყო და უქმად ყოფნაში გაჰყავდა დრო. ერთ დღეს ლომი ესტუმრა. მოიკითხეს ერთმანეთი და ლომმა უთხრა: აი, დაბერდი, ბოლო დღეებს ითვლი და ამ წლების განმავლობაში მხეცებს გამუდმებით გვტანჯავდა ფიქრი, რა სიბრძნე იდო თქვენს მიერ დაკანონებულ ბრძანებაში ძილის რეჟიმთან დაკავშირებით, ვერაფრით ამოვხსენით და ეგებ, გაგვიმხილოო. რამდენჯერმე გთხოვეთ კანონის შეცვლა, მაგრამ სასტიკ უარზე იდექით, ვერაფრით გადაგარწმუნეთ... ამიტომ ვფიქრობთ, რომ რაღაც დიდი სიბრძნე დევს ამ კანონშიო.

ჰო, დავბერდი და მე ის მიკვირდა, ამდენი უძლიერესი მხეცი ვირის ჭკუით დადგენილ კანონებს როგორ ემორჩილებოდითო, — გადაიყროყინა ვირმა.

იმდენად მოსაწყენი გახდა ყოველი წლის ყოველი დღის ერთფეროვანი პოლიტიკური ველი, რომ საკუთარი თავისთვის გასართობის ძებნაში ამ არაკმა შემახსენა თავი. შესაბამისად, თვალწინ გადამეშალა ქართული პოლიტიკური უღრანი ტყე, სადაც უცხოელი კანონმდებლების დღისა და ღამის წესრიგით უწევთ კანონების მიღება, ჩვენ კი, ეს ძალგულოვანი ხალხი, იმ მხეცებივით გავტრუნულვართ, ვირმა რომ დაიქვემდებარა.

ამჯერად დღის წესრიგშია, თემა რომელიც კულტურულად ასე იკითხება: „კანონი ლგბტ პროპაგანდის შესახებ“ და „კანონი უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“, რეალურად კი ასეა „კანონი პედერასტებისა და უსამშობლო შპიონების შესახებ“.

არაკის ხაზს გავყვეთ — რას გვასწავლის არაკი? უმარტივესი პასუხია: ვირის ჭკუაზე არ უნდა იარო!

ეს უსამშობლოები პარლამენტში რომ შევარდნენ აშშ-ის მოწყობილი ე. წ. ვარდების რევოლუციის სახელით, ჯანსუღ ჩარკვიანის სიმღერის ფონი დაადეს „თავისუფლება ისე არ მოდის, თავისუფლება ლომთა ხვედრიაო“ (რა იცოდნენ ავტორი, თორემ ვინ მამაძაღლი აამღერებდა). რომელი ლომები, ესენი ჩვეულებრივი სისხლისმსმელი გიენები არიან, — გიენები, სხვა მტაცებლებისგან განსხვავებით, მსხვერპლს ღლიან და როდესაც თავდაცვის უნარს კარგს, ცოცხლად ჭამენ. ასე არ იყვნენ ესენიც? — უმწეო მდგომარეობაში აგდებდნენ ადამიანებს და ზუსტადაც რომ ცოცხლად ჭამდნენ.

ვინც მიზეზთა გამო თავს იბუებს, გასაგებია, ძღვენის ჭამით ველარ გაძღნენ, ამიტომაც ატეხეს შარშან გნიასი, არიქა, რუსულ კანონს იღებენო და უსულო საგნებიდან პოლიციელების ცოცხლად დაწვაზე გადავიდნენ. ახლაც იგივე აქვთ მიზნად, მაგრამ ვინც შარშან გააბრიყვეს, მეეჭვება წელსაც წამოაგონ ანკესზე.

იმ ბრბოდან, რომელიც ყველაფრის საპროტესტოდ იყიდება, ზოგი მართლაც ყურფიჩორა უწიგნურია, მაგრამ ვინც მათ მრავალჯერადი გამოყენების ჩვარივით იყენებს, მან ხომ კარგად იცის, რომ საკითხთან დაკავშირებით არავითარი „რუსული კანონი“ არ არსებობს, შესაბამისი კანონი მოქმედებს აშშ-ში, ისრაელში, ავსტრალიაში და რიგში დგანან: საფრანგეთი, ბრიტანეთი, კანადა, სლოვაკეთი და ახალი სამხედრო ტექნიკის გამოსაცდელი პოლიგონი — უკრაინა...

საფრანგეთის პარლამენტის ქვედა პალატამ 171 ხმით 25-ის წინააღმდეგ, მოიწონა კანონპროექტი „უცხოური გავლენების გამჭვირვალობის შესახებ“, რომელსაც კანონიერ ძალას ზედა პალატა მაისში მიანიჭებს.

როგორც ჩანს, ნაპოლეონის სულმა მხრები შეათამაშა და ვირების წინააღმდეგ თავისი თეთრი მარენგო გამოაჭენა, როდესაც ზუსტად ერთი წლის წინათ, ნიდერლანდებში ვიზიტისას, ემანუელ მაკრონს ათქმევინა: „იყო აშშ-ის მოკავშირე, არ ნიშნავს, იყო მისი ვასალი. ევროპამ უნდა იბრძოლოს სტრატეგიული ავტონომიისთვის. ჩვენ არ გვსურს, რომ მთელ რიგ კრიტიკულად მნიშვნელოვან საკითხებში ვინმეზე ვიყოთ დამოკიდებული.“ ზუსტად ნიდერლანდებიდან დაბრუნებულმა მისცა დავალება თავის კანონმდებლებს მაკრონმა, რომ დაუყოვნებლივ დაეწყოთ მუშაობა აღნიშნულ კანონპროექტზე.

საფრანგეთს რა უჭირს, საეჭვო ისარი ერთი მიმართულებას უჩვენებს, ჩვენ რა ვქნათ, რომ თვით ის საფრანგეთიც სადევარი გვყავს და მთლიანად ევროპა, აშშ, აზიის ცალკეული ქვეყნები, სრულიად სამეზობლო: რუსეთი, თურქეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი და ახლა ტაივანიც დაემატა — ერთადერთი, არქტიკელი პინგვინები არიან საქართველოს მიმართ უინტერესოები... თუმცა, პინგვინი რად გვინდა, ჩვენ გამოვდივართ პინგვინები...

რუსეთის პრეზიდენტის პრესმდივანი დიმიტრი პესკოვი „ნერვნა კურიტ ვ კორიდორე, ჩვენგან რა უნდათ, რა „რუსული კანონი“! ქვეყანა, რომელმაც უცხო ქვეყნის აგენტებთან ბრძოლის ეს სისტემა შეიმუშავა, აშშ-ია, რა ყველგან ჩვენ გვჩრიანო. კი, საქართველო მეზობელი ქვეყანაა და საქართველოში სიტუაციის სტაბილურობა და პროგნოზირებადობა ჩვენს ინტერესებშია, მაგრამ ჩვენ ჩვენი შპიონები გვყავს საქართველოში და მოდი, ამჯერად შეგვეშვითო. ბოლო ფრაზა მე დავამატე, მაგრამ მასე იფიქრა, ვიცი, ადრე გულთამხილავად ვმუშაობდი...

მოიგონეს სიტყვები „დონორი“ და „გრანტი“. მიდით, რა! დონორი და გრანტი კი არა, სხვისი ინტერესების გასატარებელი საჯაშუშო ფული ჰქვია მაგას!

„არ უნდა გავიდეს ეს კანონი! ყველაფერი გამჭვირვალეა! არასამთავრობო ორგანიზაციების დაფინანსება გამჭვირვალეა!Aაბჯარი აისხით და მოემზადეთ, დიდი ცემა-ტყეპა გველის!“ — შარვლიდან ხტებოდა პარლამენტარი ალექსანდრე ელისაშვილი და ისეთი შეშლილი სახე ჰქონდა, ჰიჩკოკი გამახსენდა, საშინელებათა ფილმების ყველა რეჟისორი მთავარ როლს (ელისაშვილს) სინჯების გავლისა და გრიმის გარეშე ათამაშებდა.

რანაირად არის ყველაფერი გამჭვირვალე, თუნდაც ამ „თრიალეთის კოდალას“ შემთხვევაში, ეს სუბიექტი რანაირად აღმოჩნდა პარლამენტში და რატომ ჰქვია დეპუტატი? (არა მხოლოდ ის!) რატომ იბრძვის საჯაშუშო ფულის კვლავ მიღების გამო, რა ინტერესი აქვს, პირადად მას მოაკლდება კანონის მიღებისა და ამოქმედების შემდეგ თუ მის ახლო ნათესავებს და მასაც? ტელეკომპანია „კავკასიის“ პირდაპირ ეთერში ბიჭები რომ მართლმადიდებლობის გამო დააჭერინეს გიენებს, მაშინვე ცხადი იყო ყველაფერი. ბარემ, თეონა აქუბარდიას და ამ სუბიექტს ერთხმად ეყვირათ და მოეწოდებინათ შეიარაღებული აჯანყებისთვის მზადებისკენ, მაინც რევოლუციური სცენარისთვის ფინანსდებიან და ალალები მაინც გამოვიდოდნენ...

აღარ მივუბრუნდებით ამ კანონის მიღებას, მაგრამ დაფინანსება გახდეს გამჭვირვალეო, მოითხოვა საქართველომ და ე. წ. დონორებთან შეხვედრის დროს პირობაც მიიღო მათგან, მაგრამ ნაცვლად გამჭვირვალეობისა, უფრო შეიფუთნენ, მსუყე ლუკმების მოყვარე ნიკა გვარამიამ კი სულაც უტიფრად განაცხადა, კი, ბატონო, საჯაშუშო ფული მივიღეთ, მაგრამ მაგას „მიზნობრიობის გარეშე“ მიღება ჰქვიაო.

მაგარია! — თავს წამოყოფს რაღაც უცხოური ორგანიზაცია, სიზმარში ნახა, რომ საქართველოს მოქალაქეების ცხოვრება აუცილებლად უნდა გააუმჯობესოს. მოდის საქართველოში მოქალაქეების დასახმარებლად და ბოლო სერიაში ვხედავთ, რომ დაეხმარა ან შპიონებს, ან პედერასტებს, ან ორივეს ერთად, ოღონდ, „კეთილი რევოლუციის“ მოსაწყობად,

ფაქტობრივად, იმ არაკში ვართ. საქართველოს პოლიტიკის უღრან ტყეში ვირს საკუთარი ხელით ნაკვები აღმასრულებლები ჰყავს. მტრის კარს, თუ იმ მამალივით ვიყივლებთ და ვირის დადგენილ კანონს დავარღვევთ, უხმოდ მორჩილების ნაცვლად, გვემუქრებიან, რომ მასავით თავს წაგვაჭრიან რევოლუციით.

— ქუჩაში გამოსვლის დროა! — აღნიშნა „ალ კუპონემ“ არცთუ ხალისიანად და შეფიქრიანებულმა ცხვირი ულვაშით მოიფხანა.

რა უცნაურები არიან — სულ ქუჩაში არ არიან?

დღევანდელი ე.წ. ოპოზიციის უსაქმური პიონერი გოგო-ბიჭები ქუჩამ შვა პოლიტიკოსებად და მშობელ ქუჩაშივე უყვართ ღრიანცელი, განსაკუთრებით, ღამით. აბა, დილის 9 საათზე რა ღრიანცელის დროა? თუ ვინმე წინა ღამის ნაბახუსევზეა, დილას სახლში „გამოვა“, შეიბრუნებს და შემდეგ უკვე პარლამენტის მთელი პერიმეტრი და იმის ჯანი! მარიახუანა გნებავთ? — ინებეთ! ას გრამს ჩაარტყამ? — პაჟალუსტა! პაწა ხომ არ წაგვექინძავა? — ინებეთ მიმდებარე ბუჩქნარი; ააა, მოსაქმების სურვილი მოგეძელათ? — ინებეთ, ყველა ხე და ბუჩქის ძირი თქვენია! გასამრჯელო დღის ბოლოს იქნება! — სულ ესაა იმ აღმასრულებელი ბრბოს პოლიტიკური მოთხოვნები, ვირი — თავში, ვირის ხელქვეითები პარლამენტსა და არასამთავრობო სექტორში, ხოლო დაბოლილ-დაქნეული უსქესო „მასოვკა“ — ქუჩაში!

ამ ბრბოს უბედურება იმაშია, რომ მათთვის ევროპა მხოლოდ ლიბერალიზმია და არღნის ჩიტებივით გაფერადებული უსქესო არსებების შიშვლად (ან ნახევრადშიშვლად) ტანტალი, თორემ ევროპა საით არის, გლობუსზე გაჩვენონ კი არა, ხელს ვერ გაიშვერენ სწორი მიმართულებით, ჩუმლაყს მოხაზავენ სივრცეში.

„თუ ამ კანონს გაიტანენ, ჩათვალეთ, რომ საქართველოში არჩევნები აღარ ჩატარდება იმიტომ, რომ ის ორგანიზაციები, რომლებიც თურმე 20%-ით ფინანსდებიან, მათ რიგებში აღმოჩნდება ნახევარი პოლიტიკური ისტებლიშმენტი, მთელი „ნჯო“ სექტორი და სხვა“, —თქვა აღშფოთებულმა ლევან ბერძენიშვილმა.

ვინ თქვა, არ მახსოვს, მაგრამ ნამდვილად ვეთანხმები, — ლევან ბერძენიშვილი გინესის რეკორდების წიგნშია შესატანი როგორც კაცი, რომელსაც უამრავი წიგნი აქვს წაკითხული, მაგრამ ვერაფერი გაიგოო...

მამუკა მდინარაძე მიამიტური სახით ეკითხება ყველას, იანვარ-

ში უნდა შეავსონ დეკლარაცია და ფინანსები უნდა გახადონ საჯარო, რა არის პრობლემა, რატომაა „რუსულიო?“ კარგი, რა, ბატონო მამუკა, ხომ იცით, რატომაც არის „რუსული“, — უნდა დაეფინანსებინათ ლგბტ პროპაგანდა, სასამართლოს წინაამდეგ კამპანია, ცესკო-ს წინააღმდეგ კამპანია და სხვა კამპანიები საქართველოს წინააღმდეგ.

ჰოდა, მიაწექით პირველ ჩვენებას, რომ ეს არის ამერიკული კანონი! ზუსტად ისეც უნდა გადმოგეტანათ, მაგრამ რაც არის — არის, ახლა კი ცხვირზე უნდა ააფაროთ ამათ კუდისმჭერელ ამერიკელებს, ზედდართული — ევროპელებს, ზემოდან კი ვენოკად „კოჭლი იხვი“ ფინთიკოზა სალომე დაადოთ და იქით დააყვედროთ, მადლობის გადახდა მოსთხოვოთ, რომ ისეთი მკაცრი კანონი არ არის, როგორიც უნდა იყოს (ამ ფინტიკოზა ქალს ხომ გვერდს ვერ აუვლი კაცი! — 3 აპრილს გამართულ ბრიფინგზე კვლავ დაარეხვა, რომ კანონპროექტი რუსულია და ოპოზიციას მობილიზაციისკენ მოუწოდა.)

„უცხოური გავლენის აგენტი“ რომ შეცვალეთ და „უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელი ორგანიზაცია“ ჩასვით მის ნაცვლად, „აგენტურული ორგანიზაციაა“ და რატომ ეპარებით რევერანსებით? აღადგინეთ სამშობლოს ღალატის მუხლი, სანამ დროა და კანონით მოსთხოვეთ პასუხი!

„წინა წელს ხომ გავიწვიეთ უკან კანონი, ახლა ნახავთ თქვენ!“ — გვემუქრება ვიღაც გიორგი გიგაშვილი. იმხელა ოქლაქია, ოროყიანი თოხი უნდა ეკავოს ხელში, მაგრამ ეძგვერაძე ბარნაბასი არ იყოს, რომელ პარტიას ეკუთვნის, არ დავინტერესებულვარ, შპიონებისას თუ პედერასტებისას.

„გამჭვირვალობის კანონი“ არ ეხება ნებისმიერ ფიზიკურ პირს, მეცნიერს, სტუდენტს, ფერმერს, ემიგრანტსა და მის ოჯახს, სპორტულ ფედერაციას — ვინღა დარჩა, ვინ არიან, ნაკერავზე რომ იხევიან? ის მედია და ის ენჯეო-ები, რომლებიც უცხოური ვირის ხელქვეითები არიან!

„თუ ევროპიდან უმძიმესი შეფასებები არ იქნა, ქუჩაში ერთ კაცსაც ვერ გამოვიყვანთ — სასწრაფოდ გვჭირდება დახმარება!“ — ელვა დეპეშა აფრინა ვირების ხელქვეითმა ნინო ლომჯარიამ საქართველოში ევროპელ კანონმდებელ რომელითაც ვირთან (თუ ვირებთან), რიგითი „ნჯოშნიკები“ კი აბელა სეთურის გამოთაყვანებული სამწყსოსავით „პოლიქრონიონის“ ნაცვლად „არა — რუსულ კანონსო“, ალულუიასავით მონოტონურად მღეროდნენ.

ამ ჩვენის კიკოლიკოებს, სამოქალაქო საზოგადოების ინდექსით, სარეიტინგო პოზიცია 50 ადგილით გაუუარესდათ მსოფლიოში, 27-ე ადგილიდან 77-ე ადგილზე გადაქვეითდნენ და რა საჭირონი არიან საერთოდ?

ამოცანა გვეკითხება: რა დანიშნულება აქვს საქართველოში რეგისტრირებულ 10 000 არასამთავრობო ორგანიზაციას? რა ამოცანებზე და საკითხებზე „მუშაობენ“, რანაირად ამოატრიალონ ქვეყანა, ხელისუფლება, სქესი, ოჯახი, კანონი, სამართალი და თან ფული ათეთრონ?!

ნჯო-ების უმეტესობა ხომ ჩვეულებრივი ავთვისებიანი ხორცმეტებია, რომლებიც შეგნებულად ახვევია საქართველოს სხეულს. მათი მდიდარი ნაწილი რანაირად გამდიდრდა, ესეც ხომ ცნობილია და კიდევ, რაღაც შეთხზული ფონდები. ეს ერთი ქოლგის ქვეშ მოქცეული საქართველოს მავნებლების ნაკრებია.

ვირის ხელქვეითებს იმდენი მაამებელი შრომა აქვთ გაწეული კრებსითი ვირისთვის, საქართველოში მათი პირველი ნერგის ჩარგვის დღიდან, რა მოთვლის, მაგრამ ბოლოდროინდელი მავნებლობები ხომ სულ ახლახან იყო.

გაუმჭვირვალე არასამთავრობო ორგანიზაციებს, იგივე უცხო ქვეყნების გავლენის აგენტებს, გახსნილი ჰქონდათ ხელ-ფეხი, რომ 2020 წლის არჩევნების დროს გაეყალბებინათ ხმების პარალელური დათვლის (ე. წ. „პივიტის“) შედეგები; გაევრცელებინათ ყალბი ინფორმაცია საარჩევნო უბნებზე 8%-იანი ზედმეტობებისა და ცესკო-ს მიერ არჩევნების შედეგების დაგვიანებით გამოცხადებაზე. დავალება შეუსრულეს დამკვეთს და ხელოვნურად შეუქმნეს საბაბი ე. წ. რადიკალური ოპოზიციის საბოტაჟს, რომ არჩევნების შედეგები არ ეღიარებინათ და რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნების ჩატარება მოეთხოვათ. პირველად თვითონ გაფაჩუნდებიან ხოლმე და დგანან შემდეგ მაიაკოვსკის ძეგლივით, რევოლუციური სცენარების ეპიცენტრში. მოკლედ რომ ვთქვათ, „გამჭვირვალობის კანონზე“ აჩხავლებულები, უკლებლივ ყველა, უცხო ქვეყნების დესანტია საქართველოში!

ზურა ოთხერელი

დემოკრატიულ ქვეყანაში ამ კანონის არარსებობა წარმოუდგენელია

5 გვ.

ჭვირვალობა, ღიაობა, საზოგადოების ჩართულობა, პირველ რიგში, სწორედ ევროკავშირის მოთხოვნა უნდა იყოს. ეს კანონი „ქართულ ოცნებას“ რომ არ დაეინიცირებინა, ევროკავშირს უნდა მოეთხოვა. თვითონ ეს არასამთავრობო ორგანიზაციები აპელირებენ იმაზე, რომ შემოსავლებია თუ დაფინანსება, საზოგადოებისთვის ცნობილი უნდა იყოს. თუმცა, წლიდან წლამდე, საქართველოში არსებული ყველაზე დახურული სფერო სწორედ არასამთავრობო ორგანიზაციებია, რომლებიც „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის დროს უფრო „სამთავრობო ორგა-

ნიზაციები“ იყვნენ. ჯერ კიდევ 90-იანი წლებიდან და შემდეგ, უკვე ჟვანიადან მოყოლებული, სწორედ მათი რეკომენდაციებით ნაწილდებოდა გრანტები საქართველოში. სულ რაღაც 10-12 ორგანიზაცია იყო ძირითადი ბენეფიციარი, ვინც ამ თანხებს განკარგავდა. ამიტომ, თუ გამჭვირვალობის შესახებ კანონს მივიღებთ (რაც აუცილებლად უნდა მივიღოთ), დიდი საფრთხის ქვეშ დადგება მათი რეპუტაცია და საზოგადოება ყველაფერს შეიტყობს ენჯეოების საქმიანობის შესახებ. მაგალითად, არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებიც ათეულობით მილიონ დოლარს იღებენ წლების განმალობაში ეკოლოგიის განვითარებისთვის, დარწმუნებული ვარ, ერთი ხე არ დაურგავთ ცხოვრებაში. ადამიანის უფლებათა დამცველ ორგანიზაციებს ერთი ადამიანი არ დაუცავთ; მედია, რომელიც კოლოსალური თანხებით ფინანსდება, რატომღაც ყოველთვის არაობიექტური, მიკერძოებული და ცალმხრივია... საბოლოო ჯამში, აღმოჩნდება, რომ იმ რამდენიმე მილიარდი დოლარიდან, რომელიც საქართველომ მიიღო, 90-95 პროცენტი სწორედ ჩვენი სახელმწიფოს წინააღმდეგ დაიხარჯა. ამის გაცხადებას ერიდებიან და ეს არ უნდათ! თუკი ვინმე აქამდე კიდევ არ იცნობდა ამ ადამიანებს, სწორედ ახლა, ამ ვითარებაში გამოჩნდა მათი ნამდვილი სახე: უფლებადამცველები არიან პირველი უფლებადამრღვევები, თავისუფლების ინსტიტუტი, ვინც გამჭვირვალობაზე საუბრობს, არის ყველაზე დახურული ორგანიზაცია, ვინც აცხადებს, რომ მისი მიზანია სამართლიანი არჩევნები, სწორედ ის არის დაკავებული არჩევნების გაყალბებით... უცხოელი დიპლომატები და სხვადასხვა ორგანიზაციის წარმომადგენლები საუბრობენ, რომ შარშან ათასობით ქართველმა გააპროტესტა ამ კანონის მიღება, მე კი მინდა მათ შევახსენო, რომ ათასობით ადამიანმა შეიძლება გააპროტესტა, მაგრამ ასიათასობით ადამიანი ვართ ამ კანონის მიღების მომხრე! ამიტომ, ჩვენს უცხოელ „დაუძინებელ მეგობრებს“ ვთხოვ, რომ ჩემი და ჩემი მეგობრების სახელით ლაპარაკს თავი დაანებონ!

ზაალ ანჯაფარიძე, ანალიტიკოსი:

როგორც მოვისმინე, უცხოური გავლენების შესახებ კანონის ხელახლა ინიცირების ერთ-ერთი მიზეზი გახდა ის, რომ საერთაშორისო დონორებმა არ შეასრულეს დანაპირები ხელისუფლებასთან, რის მიხედვითაც, მათ მიერ საქართველოში დახარჯული ფინანსების მიზნობრიობა გამჭვირვალე უნდა ყოფილიყო. ჩემი სურვილი,

თუ გნებავთ, რეკომენდაცია იქნებოდა, რომ ორივე მხრიდან, დასაშვები დოზით, ან თუ შესაძლებელია, ბოლომდეც, გასაჯაროვდეს ამ მოლაპარაკებების შინაარსი, რათა გავიგოთ, რაზე და რატომ ვერ შეთანხმდნენ.

კანონპროექტის დაბრუნება, გარკვეულწილად, არჩევნებსაც უკავშირდება, რადგან მოგეხსენებათ, საარჩევნოდ, არასამთავრობო ორგანიზაციებზე დიდი ფსონი იდება. შესაბამისად, ბევრი ფული შემოდის და ხელისუფლებამ გადაწყვიტა, რომ ეს შემოდინება გარკვეულ ჩარჩოებში მოაქციოს. საერთაშორისო რეაქციების გამო, მიმაჩნია, რომ ეს სარისკო ნაბიჯია, მით უფრო, რომ საზოგადოების საპროტესტო მუხტიც იზრდება. თუმცა, როგორც ჩანს, ხელისუფლებამ მიიჩნია, რომ კანონის არმიღებაც უკვე აღარ შეიძლებოდა.

ნუკა არველაძე, ჟურნალისტი:

მმართველი პარტიის ინიციატივა არის საქართველოს მოსახლეობის იმ დიდი უმრავლესობის

მოთხოვნა, ვინც გასული წლის მარტის აქციების დროს თავს ძლივს იკავებდა სახლში! ამიტომ, პირადად ჩემი სახელით, ნებისმიერ დროს დავდგები იქ, სადაც ჩემი სამშობლოს მომავალი იმ ადამიანების ხელშია, ვინც არაფერს გვიმალავს და არ გვატყუებს. ქვეყნის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია, გამჭვირვალე იყოს თითოეული ნაბიჯი! თუმცა, სწორედ ამ მიზეზით, ისევ ყველა ერთად დაირაზმა ჩვენი სახელმწიფოს წინააღმდეგ, დიახ სახელმწიფოს, და არა მთავრობის, რომელიც ხალხის არჩეულია მაღალი ლეგიტიმაციით. უკვე ვიხილეთ პირველი დარტყმები, გააქტიურდა საინფორმაციო შეტევა, ლომჯარიას ისტერიკამ შედეგი გამოიღო და გვარამიას ბოდვასაც ვუსმინეთ. თუმცა, მათ უავტორიტეტო და მორალისაგან დაცლილ არცერთ სიტყვას გროშის ფასი არ აქვს. რეალურად, ყველამ გადასარევად იცის, რომ კანონი გამჭვირვალობის შესახებ დროულია, მაგრამ ისიც ესმით, რომ ეს კანონი მათ მიერ ფულის გათეთრების ფაქტებს და ქვეყნის წინააღმდეგ მომუშავე ძალებს ბოლომდე წარმოაჩენს!

ნონა ქარქაშაძე

საბედისწერო დაპირისპირებათა ჭყვეობაში

იური პაპასჭუა,
ეკონომიკურ მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი.

პარადოქსია, მაგრამ სიმდიდრის მოხვეჭას ბედნიერებისთვის ელტვიან, თუმცა სიმდიდრის შენახვა მარტივი სულაც არ არის. პლანეტის უმდიდრეს ადამიანთა შორის, ბევრია ისეთი, ვინც ფულის კეთების ნიჭთან ერთად, ამ სიმდიდრის საყოველთაო სიკეთისათვის გამოყენების უნარებს ფლობს, უბრალოებას, ქვეყნის ინტერესებს იცავს და ბედნიერებას ამაში ხედავს. ასეთი, სრულიად უნიკალური იყო **ჩარლზ ფინის** - **Duty Free**-ს მაღაზიათა ქსელის შემქმნელის ცხოვრება და მოღვაწეობა. მან **8 მილიარდი** ღირებულების ქონება დააგროვა თავისი გამჭრიახი მიგნებით და მთელი თავისი მონაგარი სრულად ქველმოქმედებას მოახმარა. თვითონ საზოგადოებრივი ტრანსპორტით გადაადგილდებოდა, იცვამდა არაფრით გამორჩეულ ტანსაცმელს, სახლიც არ ჰქონდა ჩვეულებრივი მოკვდავისგან განსხვავებული. სწორუპოვარია ქართველთა შორის **ბიძინა ივანიშვილის** უბრალოება, მისი რესურსებიდან საქართველოს აღმშენებლობაში შეტანილი უდიდესი წვლილი და მოქალაქეებისთვის გაწეული დახმარება, საყოველთაო მშვიდობისთვის თავდადება.

თავის დროზე, ინგლისი ამერიკის კონტინენტს, ინდოეთს, აფრიკას პირწმინდად ძარცვავდა; საფრანგეთი მაღრიბის ქვეყნებზე პირდაპირ მმართველობას ახორციელებდა; ესპანელები, ვიკინგები, ევროპელი სხვა მეკობრეები ზღვებსა და ოკეანეებში გემს არ უშვებდნენ გაუძარცვავად; ამერიკელები, მას აქეთ, რაც სახელმწიფოდ იქცა, ჯერ ადგილობრივებს ართმევდნენ ლუკმას, ახლა თითქმის ყველა ქვეყანას ძარცვავს ხან აშკარად, ხანაც - მალვით; რუსეთს, ჩინეთს სულ სხვის დაპყრობაზე გაურბოდა ძალი და ღონე...

ერთი საქართველო იყო ისეთი, სხვისი არასდროს მიუთვისებია, ყველას ყველაფერი გაჰქონდა აქედან - არგონავტებმა ოქროს საწმისი და მედეა რომ გაიტაცეს, მას მერე ყოველთვის გვძარცვავდნენ მომხდურნიც და შინაური მტრებიც... მძარცვლის ჟინი, ცივილიზაციამაც ვერ დააოკა, მასშტაბები და მანერები შეიცვალა მხოლოდ.

პლანეტის მოსახლეობის 1% ფლობს ასეთი გლობალური სიმდიდრის თითქმის ნახევარს. სწორედ მათი ინტერესები განაგებს მსოფლიო წესრიგს - ომის დაწყებას და ომის შეწყვეტასაც. **სხვა დანარჩენმა არც იციან რას ეწირებიან.** პატრიოტული სულისკვეთებით, ქვეყნის სიყვარულით, მშვიდობის დამკვიდრების მისიით, დამოუკიდებლობის ლოზუნგით თუ სამართლიანობის აღდგენის მიზნით, მსოფლიო გამგებელთა მიერ ჩახლართულ ფიცხელ ბრძოლაში ებმება ამ ფასეულობებზე აღზრდილი ათასობით გულანთებული; არანაკლები მოხალისე, ფულის სანაცვლოდ, საღირსებო მოტივს იბრალებს.

წარმოიდგინეთ, სულ სამ ეკონომიკურ უმდიდრეს სუბიექტს (მაგალითისთვის, **Microsoft Corporation, Google Inc, Facebook**) და მათ დამფუძნებლებს, თუ მოუნდებათ, შეუძლიათ მსოფლიოს თავს მოახვიონ ნებისმიერი ახირება. მათი საერთო ქონება იმდენია, ყველაზე ურთულესი პრობლემის გადაწყვეტაც კი მარტივად შეუძლიათ, თუმცა ისეთი კვანძების შექმნაც ხელეწიფებათ, რომ მერე მისი გახსნა ვეღარ მოხერხდეს. მათ ყველას თავისი ინტერესი აქვს - ზოგს ნავთობი, ზოგს - ალმასი, ზოგიც - ხორბალს, წყალს, სხვა მინერალს თუ „წამალს“ აზის მითიური დევივით. მდიდრებს და მათ კორპორაციებს, უზარმაზარი შესაძლებლობების

შედეგად, სახელმწიფოების ხელმძღვანელობაზე შეუზღუდავი გავლენა გააჩნიათ. უმეტესწილად, ისინი ირჩევენ (ხელს უწყობენ, კანდიდატად გაჰყვთ, უფინანსებენ არჩევნებს) და ამსახურებენ ქვეყნის მმართველ პირებს. მათი მოქმედებების საკონტროლოდ, უქმნიან არასამთავრობო ორგანიზაციებს. უმსხვილესი კორპორაციებისა და მათი განთავსების ქვეყნების გლობალური ინტერესები ემთხვევა ერთმანეთს, ან თემატური თანხვედრა მაინც აქვთ.

აგერ უკვე ორ წელზე მეტია, რუსეთმა უკრაინის წინააღმდეგ სპეცოპერაცია დაიწყო. სწორედ ასეთი გლობალური ინტერესის უჩინარი ხელი დიდი ხნით ადრე ამზადებდა ერთი ფუძიდან აყლორტილი ორი მომძე ერის სამტროდ გადაკიდებისა და დაშლის ყველა შესაძლო ვარიანტს. უკრაინაში ორი დაპირისპირებული იდეოლოგიისა და მენტალობის ინტერესი შეეჯახა ერთმანეთს. მათგან, ერთ მხარეს დგას რუსული შოვინისტურ-დერჟავნული იდეოლოგია აურაცხელი ნედლეულით, სხვა ბუნებრივი სიმდიდრეებითა და თვალუწვდენელი ტერიტორიით, მეორე მხარეს კი კოლექტიური დასავლეთი, ყველა სხვა სახელმწიფოთა ერთობა განსხვავებული ინტერესებითა და მიზნებით. როგორც განზრახული იყო, უკრაინის ხელისუფლებაც მათ მხარეს დადგა და პატრიოტულ სულისკვეთებაზე შეგდებული მოსახლეობა შერჩა ხახადღებულ ურჩხულს.

მხარეთა შორის საომარი მოქმედებების გამოცხადებისთანავე მიუმხრობელი ექსპერტები შორსმჭვრეტელურად შენიშნავდნენ, რომ ომი რუსეთის წინააღმდეგაა მიმართული; კაცობრიობა საყოველთაო ომში ჩათრეული აღმოჩნდებოდა; რუსეთიც და უკრაინაც კარგად დაგებულ სატყუარას წამოეგო; ყველას მაგიერ, უკრაინას რუსეთის წინააღმდეგ მზაკვრულად აბრძოლებენ და ამ ომში უკრაინა თავიდანვე განწირულია. ექსპერტთა ეს მოსაზრება ყველაზე ახლოს აღმოჩნდა რეალობასთან. მთელი ამ დროის განმავლობაში ჩადენილი სისასტიკე, ომით ხვედრგამწარებული ადამიანები, გაჩანაგებული ეკონომიკა და პლანეტის მოსახლეობის გაძვირებული ყოფა ომში ჩართულ არც ერთ ქვეყნის ლიდერს გულს არ უკლავს. **ესაა გავლენების სფეროების გადანაწილებისა და ძალადობრივად ახალი წესრიგის დამყარების სისხლიანი არენა, სადაც მთავარი ფიგურები „კეთილმყოფელის“ ნიღბებით პოზიორებენ; აქ წყდება ქვეყნების არა დემოკრატიული განვითარების მომავალი, არამედ ახალი ეკონომიკური წონასწორობის დამყარების პერსპექტივა ევროპასა და მთლიანად კოლექტიურ დასავლეთში. დემოკრატია მათვის მხოლოდ საფარია და ორმაგი თამაში.**

ომში ჩართულ არცერთ სახელმწიფოს ხელს არ აძლევს და არც კი ცდილობს, შეაჩეროს კაცობრიობის ყოფნა-არყოფნას დამუქრებული ეს უგუნურობის ზეობა - კოლექტიური დასავლეთი, უკრაინის ხელისუფლებასთან ერთად, იმის მაგიერ, რომ დაპირისპირებულ მხარესთან ომის შეწყვეტას შუამავლობდეს, უკრაინის მოსახლეობას აგულიანებს, აიარაღებს, ჭურვებს აწვდის და ახოცინებს ერთმანეთს. ყოველი მიზანში ნასროლი თუ მიზანსაცდენილი ჭურვი დაპირისპირების ესკალაციას ქმნის. ომის ყოველი ახალი დღე სამხედრო ინდუსტრიას და მის ინტერესებს დამორჩილებულ ქვეყნებს სარგებელს უფქვავს.

კოლექტიური დასავლეთის სახელმწიფოების ლიდერებმა იარაღასხმული უკრაინელი თავგანწირულების მხარდასაჭერად და ახალ მსოფლიო წესრიგში რუსებისთვის კუთხეში ადგილის მისაჩენად ფინანსური სანქციებიც დაამატეს მისაწოდებელ საომარ არსენალს.

ეს უგუნურობა იმის კიდევ ერთი სამხილია, რომ რომ ქვეყნების მართულ ხელმძღვანელებს საკუთარი მოქალაქეების კეთილდღეობა, რბილად რომ ვთქვათ, ფეხებზე ჰკიდიათ. სანქციების შემოღებიდან გასულმა დრომ და შედეგებმა დაადასტურა, რომ ასეთმა ახირებამ ომის შეწყვეტაზე გავლენა არ იქონია, არც რუსეთის ეკონომიკა ჩამოშალა, პუტინის მიმართ მოსახლეობის მხარდაჭერა გაიზარდა.

გაუაზრებელმა სანქციებმა მოსახლეობის ყოფითი მდგომარეობა აშკარად გააუარესა - სამომხმარებლო პროდუქცია და მომსახურების სახეები მკვეთრად გააძვირა; ომის მომხრეთა ინტერესები გააძლიერა; სამხედრო ინდუსტრიისთვის სარგებლის მარჯა გაზარდა; დაპირისპირებულთა სამშვიდობო დაშორისების პერსპექტივაც ბუნდოვანი გახადა.

სანქციების მიმართ ერთსულოვნება ყველას არ გააჩნდა. სავსებით გონივრული იყო თავიდანვე გაცხადებული საქართველოს პოზიცია. ამ აქტის არაგონივრულობისა და უსუსურობის აშკარად გამოკვეთილი დემონსტრირება იყო პრეზიდენტ პუტინის განკარგულებით სოჭის მახლობლად რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე ქალაქ სირიუსში ახალგაზრდული ფესტივალის ჩატარება, რომელშიც საერთაშორისო შეზღუდვების მიუხედავად, 188 ქვეყნის 20 ათასზე მეტმა ახალგაზრდამ მიიღო მონაწილეობა. ერთმანეთის თანადგომის იდეის ერთსულოვანი გაჟღერება, პლანეტაზე მშვიდობის მხარდაჭერა, უფრო მეტად შთამბეჭდავი იყო, ვიდრე კოლექტიური დასავლეთის ქვეყნების უკრაინაში ომის დასრულებისთვის აქამდე ერთად გაღებული სამშვიდობო მეცადინეობა.

პუტინის პოზიციის განმტკიცებასთან ერთად, უკრაინის მმართველი გუნდის და საკუთვრივ, ვოლოდიმირ ზელინსკის მოქმედებების მიმართ ერთსულოვნება ეცემა. საღად მოაზროვნე მოქალაქეები ხვდებიან და ექსპერტებიც ადასტურებენ, რომ ზელინსკის მიერ პროფესიული ჩვევებით ქვეყნის მართვამ, მით უფრო, კრიზისულ ვითარებაში რაციონალური გადაწყვეტილებების მიღების უუნარობამ, ისედაც განადგურებისთვის განწირულ უკრაინას გადარჩენის შანსები, ფაქტობრივად, გაუქრო. რომ არა **ბიძინა ივანიშვილის** დაუნჯებული მეცადინეობა, საბედისწერო საომარი მოქმედებები ჩვენს ტერიტორიაზე გადმოინაცვლებდა. გონივრული გამოდგა ვიქტორ ორბანის დამოკიდებულებაც უკრაინაში ომისა და კოლექტიური დასავლეთის მიმართ.

ყველა ნიშნის მიხედვით, ცხადი ხდება, რომ კაცობრიობა განვითარების რაღაც ახალ, ჯერ კიდევ გაურკვეველ, თუმცა სრული განუკითხაობისთვის დამახასიათებელ ფაზაშია. არცერთ საერთაშორისო ინსტიტუტიას თუ მისიას არ გააჩნია მიმდინარე მოვლენებზე კონტროლის უნარი. მათი გადაწყვეტილებები და რეზოლუციები „შეშფოთების“ გამოხატვის ფორმატს ვერ გასცდა; დღეს, მსოფლიოს ავტორიტეტული პოლიტიკოსებიც არ ჰყავს - თითქმის ყველა გლობალური ინტერესის გამომხატველი პროექტის ხელდასხმულია; ახლანდელ პოლიტიკანებს კონფლიქტების მოგვარებისა და ზემდიდარი ადამიანების ქვეყნის სამსახურში ჩართვის უნარი არ აღმოაჩნდათ; ადამიანისთვის სასიცოცხლო სოციალური სფეროს ძირითადი დარგები და პოლიტიკა ბიზნესის კანონებით იმართება; დაპირისპირების თვალუწვდენელ არენაზე მცირერიცხოვანი გუნდის მიერ „მოქარგულ“ ულმობელ ხრიკებში ამ პლანეტის მილიარდობით უწყინარი ბინადარია გახლართული; სამყაროს შემომქმედი აბსოლუტური გონის შემდეგ, დედამიწაზე ყოვლისშემძლე და გაბატონებული ცოცხალი არსება - ადამიანი, ყველაზე უსუსური აღმოჩნდა უკონტროლო სიმდიდრის მფლობელი სამხედრო ინდუსტრიის გლობალურ ძალთა ინტერესების წინაშე; ცოდნის დეფიციტი და გაუნათლებლობა ასაზრდოებს ტერორის მომწყობ გუნდებს, სიძულვილსა და ნიაღვარივით წამოსულ რადიკალურ განწყობას.

რანაირი ახსნაც არ უნდა მოუძებნო ამ სახიფათო დაპირისპირებას, თავად ადამიანია მისი შემოქმედი და აზრთა განმრიგესთან გატოლების თავგასულობა.

ერთი წუთითაც არ მსურს ისედაც უიმედობით გადავსებული აწმყო ადამიანებს ოდნავადაც დავუმძიმო. მაგრამ მე თვითონ აღმოვჩნდი სრულ გაურკვევლობაში და გამიჩნდა პასუხგაუცემელი კითხვები: **საით მივდივართ, როგორ ვუშველოთ ამ შეშლილ სამყაროს, საიდან მოდის ამდენი სისასტიკე, სიძულვილი და უზნეობის ზეობა?!**

ადამის მოდგმის უზენაესი უფლება (უფლის ნება) სიცოცხლეა. ხოლო მისი ძალადობრივი ხელყოფა დაუშვებელი და უპატიებელი დანაშაულია კაცობრიობის წინაშე!

რა „დიადი მიზანიც“ არ უნდა ახლდეს ამ „უფლის გმობას“, ის ერთი ბავშვის აცრემლებადაც არ ღირს. სამყაროს მომსპობი ბევრი იარაღი დაგროვდა პლანეტაზე. უთვალავი რესურსი და შესაძლებლობა, რაც ადამიანების, ფლორის, ფაუნის განადგურებას ხმარდება, მათ სასიკეთოდ რომ იყოს მიმართული წარმოუდგენლად ზღაპრული გახდებოდა ჩვენი პლანეტა, ზეციური სამოთხე ადამიანების მიწიერი საერთო საცხოვრისი გახდებოდა.

შეჩერდი უგუნურო ადამიანო! კაცთკვლა ჩვენს საერთო საცხოვრისში სიცოცხლეს დაღუპავს, მოსპობს საერთოდ!

„რა ენა ნახდეს, ერიც დაეცეს!“

„საერთო გაზეთი“ ერთხანს კონსილიუმს იწვევდა ხელოვნურად დაავადებული ქართული ენის საშველად. მას შემდეგ წლები გავიდა, მაგრამ ჯერჯერობით იმედისმომცემი ნათება არ გამოჭიატებულა ჩაშავებულ ქართულ სამეტყველო სივრცეში. ყველა, ცალ-ცალკე, თითქოს რაღაცას ცდილობს, მაგრამ ამაოდ, ერთიანი ძლიერი სურვილის შეკრება და მოქმედებაში მოყვანა ვერა და ვერ ხერხდება.

ვფიქრობდი, ნეტავ, რა არის ამის მიზეზი-მეთქი და იმ ერთი ფრაზით მოერგო გასაღები, რომელიც ჩემს კოლეგას თბილისში ერთი დღით ჩამოსულმა ფერეიდანელმა ქართველმა უთხრა: „რაგვარ ქართულით უბნობთ, არაფერი მომდისო“. მომდის — არ მესმის, ვერ ვიგებ, ყურის გავლით ჩემამდე არ მოდის სიტყვიერი ინფორმაცია ენობრივი ხარვეზის გამოო. სხვათა შორის, თუში დღესაც ასე იტყვის, რადგან თუშურ დიალექტში შენარჩუნებულია ე. წ. ძველი ქართული სიტყვები. მაგალითად, რომ არა საეკლესიო დღესასწაული „მირქმა“, ეს სიტყვა გაგონილი არ ექნებოდა ბევრი ქართველის ყურს, თუშისთვის კი ჩვეულებრივი სიტყვაა მირქმაც, არქმაც, იირქვიც. ახლა აქეთა მხარეს ვკითხოთ, „არ მომდის“ მისთვის ისმის, როგორც არაფერი „მემართებაო“. უამრავი სიტყვაა „ვეფხისტყაოსანში“, რომლებიც აბსოლუტურად გაუგებარია მკითხველისთვის, თუმცა თუში დღესაც ამ

სიტყვებით საუბრობს, მაგალითად: „მოლმობიერდა, მომიტკბა, გამწყარალი **გამქისებული**“, „გავგულისდი, მოვიქნიე, ვჰკარ მიწასა, **დავაწყვიტე**“, „ეგ საუბარი მაშინ **ხამს**, თუცაღა ვიყო ცნობასა“, „უმცროსსა ძმასა მივეცით, უფროსნი **დავეზიდენით**“, „ლხინმან ბნელი განმინათა **ამიფოლხვა** ჯაჭვთა **მანა**“ და ა. შ. არაერთი სიტყვა-ზმნა.

ჩემი მხრივ ჩემი ენათმეცნიერი სტუმრის (დაღესტანში, ხასავიურტაში მცხოვრები ქართველის) ნათქვამს დავამატებ, რომელიც მხოლოდ ექვსი წელი არ იყო ნამყოფი საქართველოში: „ეს რანაირი ლაპარაკი უსწავლიათ, რატომ იჩლექენ ენას, რატომ წელავენ სიტყვებს და რატომ აკეთებენ უცნაურ მახვილებს ცალკეულ მარცვალზე, გაუგებარი ხდება აზრის მყისიერი აღქმაო“.

სულგანათლებული ვახტანგ ხარჩილავა „საერთო გაზეთის“ გვერდებიდან სწორედ ენის გაუკუღმართების საკითხს „აცხრებოდა“ ხშირ-ხშირად, მაგრამ ვეჭვობ, ბევრს ვისმეს გაეგო პოეტის დამწუხრებული ნათქვამი-მოწოდება...

მიზეზი ახსნილია, ქართველები ორ ძირითად (ქართულ-სომხური, ანუ ე. წ. „ქალაქური“ და ქართულ-ამერიკული ე. წ. „სვეტსკი“, — ეს კიდევ, რატომღაც ისევ უცხო ენაზე, რუსული ფორმით უნდა ითქვას) და კიდევ მრავალგანშტოებიან ქართულად ვმეტყველებთ, გააჩნია ამა თუ იმ ადამიანის საცხოვრებელ ადგილს, საზოგადოებრივ მდგომარეობას, კონტაქტებს და ა. შ.

მოკლედ რომ ვთქვათ, ძალიან ჭკვიანმა ძალამ უმტკივნეულოდ და შეფარულად განახორციელა შეტევა ქართულ ენაზე, პირდაპირ გაიმეორა ბაბილონის გოდოლის მშენებლების ერთიანი პირის მოშლის მაგალითი. ახლაც ჩვენი ვახტანგ ხარჩილავას გზას მივყვებით, მის მიერ დაარსებულ საგაზეთო კონსილიუმზე ყველა მიმართულების სპეციალისტს ვიწვევთ საქართველოსა და ქართული ენის საშველად. ისინიც დიდი მონდომებით ცდილობენ თავიანთი წვლილის შეტანას ავადმყოფის გადარჩენაში, მაგრამ არავის ესმის მათი ნათქვამი.

პირველი შეტევა პირადობის მოწმობიდან ეროვნების აღმნიშვნელი გრაფის ამოშლითა და მამის სახელის ამოძირკვით დაიწყო ახალი საუკუნის დადგომისთანავე. წარმომავლობა ჯიშიან ცხოველს უწერია საბუთში, ჩვენ კი ოფიციალურად დაგვავიწყეს „ვისი გორისა ვართ“ და, რუსულის კალკია მამის სახელიო. რა არის რუსული, რომ, მაგალითად, თანასოფლელებისთვის დედაჩემი გოთაანთ ლადოს ქალია დღემდე, მისი მამა გოთაანთ ლადო იყო, ხოლო მისი პაპა გოთა? ამას კონსილიუმი უშველის?!

2000 წელი იყო, ბატონმა ჯანსუღ ჩარკვიანმა მითხრა: „ეროვნება რომ არ გაინტერესებდეს, ან უეროვნებო ამერიკელი უნდა იყო, ან ქურდი, „რამკიანი“, მათ კანონებში არ არსებობს ეროვნება. მთავარი რა არის, იცით, სანამ ხალხი არ მიხვდება, რომ ბულატ ოკუჯავა რუსია, იაკობ ტრიპოლსკი კი ქართველი, არ გამოვა არაფერი. რუსს იმას ათქმევინებ, ბელა ახმადულინა დონელი კაზაკიაო?“

მოდიან ჟურნალისტები, ასე ჰქვიათ, ჟურნალისტიკის ფაკულტეტი აქვთ დამთავრებული, — რა უნდა და რატომ მოვიდა, თვითონაც არ იცის; რას გეკითხება, ვერ გაიგებ; იტყვი ერთს — დაწერს მიმსგავსებულს; შვილო, ხომ მომისმინე, რა ვთქვი, ყურზე მიდებული მიკროფონიდან პირდაპირ რომ იწერ ჩემს ნალაპარაკევს, რისი ჟურნალისტი ხარ, მისი გაკრეჭვა-გაკოხტავება თუ არ შეგიძლია, მოსე-მწერალი ხარ?..

ომი ვის უნდა გამოუცხადო, თუ გინდა, რომ საქართველო დაამხო? — რა თქმა უნდა, ქართულ მწერლობას. ვინ უცხადებს ომს? — რა თქმა უნდა, უწიგნური კაცი. დღეს რასაც ქართულ ენას ჰკადრებენ, ვინმე დამაჯერებს, რომ ამით კონკრეტულად საქართველოს არ ებრძვიან?

„ბოლო-ბოლო
გავაკეთოთ ანალიზი;
რაც დღეს
პარლამენტში ხდება,
ამას ჰქვია ანანიზმი“.

ეს ის დროა, როცა ცხონებული ვახტანგ გოგუაძე მეუბნებოდა: „ამერიკული ბომბი რომ ჩამოაგდონ თბილისში, „უიმე, დედა, რა კარგი ბომბია, ასე იტყვიანო“...

შეუძლებელია, არ დაეთანხმო ბატონ ვახტანგ ხარჩილავას, — ეროვნების გრაფა ამოშალეს და დაგვრჩა საქართველოს მოქალაქე, რომელსაც ეროვნება არ აქვს, რადგან ვინც ეროვნების ამოშლა დაავალა ჩვენს ხელისუფლებას, მას არ აქვს არც ეროვნება და არც სამშობლო. მან იცის, რომ უეროვნებო და უსამშობლო, მხოლოდ მოქალაქეობას. ვინ უცხადებს ომს? — რა თქმა უნდა, უწიგნური კაცი. დღეს რასაც ქართულ ენას ჰკადრებენ, ვინმე დამაჯერებს, რომ ამით კონკრეტულად საქართველოს არ ებრძვიან?

„ბოლო-ბოლო
გავაკეთოთ ანალიზი;
რაც დღეს
პარლამენტში ხდება,
ამას ჰქვია ანანიზმი“.

ეს ის დროა, როცა ცხონებული ვახტანგ გოგუაძე მეუბნებოდა: „ამერიკული ბომბი რომ ჩამოაგდონ თბილისში, „უიმე, დედა, რა კარგი ბომბია, ასე იტყვიანო“...

შეუძლებელია, არ დაეთანხმო ბატონ ვახტანგ ხარჩილავას, — ეროვნების გრაფა ამოშალეს და დაგვრჩა საქართველოს მოქალაქე, რომელსაც ეროვნება არ აქვს, რადგან ვინც ეროვნების ამოშლა დაავალა ჩვენს ხელისუფლებას, მას არ აქვს არც ეროვნება და არც სამშობლო. მან იცის, რომ უეროვნებო და უსამშობლო, მხოლოდ მოქალაქეა ქართველი ადვილი შემოსაგრეხია მკლავზე...

საქართველოს ყველა მოქალაქეს, ქართველის გარდა, ისტორიული სამშობლო აქვს, ზოგ მათგანს, სულაც ერთი ხელის გაწვდენაზე, თანაც, ენაც შენარჩუნებული აქვთ და ადათ-წესებიც, თუ მოისურვებენ, ნებისმიერ დროს შეუერთდებიან თვისტომებს, ჩვენ რა უნდა ვქნათ, საქართველოში დაბადებულ-გაზრდილმა ქართველებმა, როცა არავის უკითხავს, ისე ამოგვშალეს ერების სიიდან, როცა იმასღა ვკითხულობთ, სხვა საქართველო კი არა, თვით საქართველო სად არისო?

როდესაც ქართველს საკუთარი ენა შესისხლხორცებული არ აქვს, მაგრამ კარგად იცის, ვთქვათ, ინგლისური, ჩინური ან სხვა რომელიმე ენა, რეალურად, სრულფასოვანი ქართველი არ არის, რადგან ქართული ენა მხოლოდ კომუნიკაციის საშუალება კი არა, დაღად დასმული ქართული მენტალობაა, რომელიც ამ ენაზე ამყარებს კავშირს კოსმოსთან... არასრულფასოვანი ქართველისთვის, რა თქმა უნდა, ნაკლებღირებულია ყოველივე ქართული, უარესიც, სამარცხვინოა ენაც და ქართველობაც...

ვისაც სასკოლო ასაკის მოზარდი ჰყავს სახლში, დამეთანხმება, რომ ქართული ლიტერატურის სახელმძღვანელოები სკოლაში, „ისე რა,“ სიმბოლურადაა. ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების პროგრამა იმგვარად არის შედგენილი, მოზარდი მხოლოდ ყურს აჩვევს „რაღაც“ გვარებს, ვთქვათ, წერეთელს, ჭავჭავაძეს, ინანიშვილს და ა. შ. ისიც, ალბათ, იმიტომ, რომ მთლად ვერ გადააგდებენ სადღაც, ჯერჯერობით მაინც, თორემ სხვაფრივ, არანაირი დატვირთვა არ აქვს ქართულის გაკვეთილებს. მოუსმინეთ, ენაცრილი კაჭკაჭივით მეტყველებენ ქართველი ბავშვები ინგლისურად, ქართულად კი აზრს ვერ აყალიბებენ... რატომ უნდა ეკითხა ჩემს შვილიშვილს: „თუ იაკობ გოგებაშვილია „დედა ენის“ შემქმნელი, სხვა ვიღაცის დაწერილ გოგებაშვილისეულთან მიმსგავსებულ „დედა ენას“ რატომ მასწავლიანო?“

ერთი-ორი წლის წინათ, ერთ გაზეთში ჩემთვის დღემდე „მოუნელებელ“ განცხადებას წავაწყდი: „გვესაჭიროება 25 წლამდე ხაჭაპურის მცხობელი და ხინკლის მომზვევი. აუცილებელია ინგლისურის ცოდნა, კომპიუტერის ცოდნა სასურველია“, — ამის შემდეგ, რაღა უნდა თქვა...

როგორც ჟურნალისტს, ძალზე ხშირად მიწევდა სხვათა საუბრების გაშიფვრა. როდესაც საუბრის დროს რომელიმე რესპონდენტს უყურებ, თითქოს, გესმის რასაც ამბობს, მაგრამ აბა, სიტყვასიტყვი ფურცელზე გადაიტანეთ და აზრის გამოსატანად მას მიეცით, ვისაც წარმოდგენა არ აქვს, ვინ საუბრობს და რის შესახებ გამოთქვამს აზრს. რას ამბობს, რაო? — ვერაფერს გაიგებს.

იმასაც შეგვაჩვიეს, რომ ქართველი არანაირი განსაკუთრებული ერი კი არ არის, პირიქით, მთელ მსოფლიოში თავისმომჭრელია მათი კრიმინალური ქმედებები;

რომ ქართველებს, ისევე, როგორც ყველა სხვა ერის წარმომადგენელს, ოთხი ჯგუფის სისხლი აქვს, ორი ფეხი, ორი ხელი, ორი თვალი და ა. შ. ამდენად, ქართველობა არაფრით არის საამყო;

რომ ბიზნესის ენა ინგლისურია;

რომ ინგლისური მსოფლიო ენაა;

რომ ინგლისური ენის ცოდნის გარეშე არარაობა ხარ და ა. შ. თუმცა, იმას არ გვეუბნებიან, რომ შექსპირის ენაზე კი არა, ამერიკულ ე. წ. „სლენგის“ ცოდნაზეა საუბარი, — დიდ ბრიტანეთში სპეციალური კანონი მიიღეს, რითიც „შექსპირის ენას“ დანაგვიანებისგან იცავენ...

ყველა ენის ცოდნა დასაფასებელია, მაგრამ მშობლიური ენის დამცირება-დაკარგვის ხარჯზე?! — ამას არ დავეთანხმები!

თურქეთმა, ყურანზე აღზრდილმა მუსლიმანურმა ქვეყანამ, მიუხედავად იმისა, რომ „ყურანი“ არაბულადაა დაწერული, ოფიციალურ დონეზე სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა „არაბიზმებს“ და „ყურანიც“ თურქულად თარგმნა, — ჩვენ?

სანამ ოფიციალურ სამეტყველო ენად ქართულ ენას არ დავიბრუნებთ, საქართველოს ვერ დავიბრუნებთ!

განა საკამათოა, რომ ქართული ცნობიერება ქართული ენის არსებობის გარეშე ქართული ვერ იქნება?

„ივენთ ჰოლი“, „ლაივი“, „ფართი“, „სეილი“, „სეივი“ — რა ჯანდაბაა! რატომ არის მიუღებელი, ვთქვათ, „სეილის“ ნაცვლად „ფასდაკლება“, „სეივის“ ნაცვლად „დამახსოვრება“, „ლაივის“ ნაცვლად „პირდაპირი“, „ფართის“ ნაცვლად „წვეულება“, „კრეატიულის“ ნაცვლად — შემოქმედებითი, პრიორიტეტულის ნაცვლად — უპირატესი, დაცინვა-შეურაცხყოფის ნაცვლად ყურით მოთრეული სიტყვა, ბულინგი რატომ უნდა დამიკვიდრო, როდესაც ქართულადვე მაქვს კიდევ სხვა ძირქართული შესატყვისი — „საკირცხლად აღება“, და ა. შ.

მოვიგერიეთ როგორღაც ხმლით მოსული ყველა დამჭერობელი, მოვიგერიეთ, რადგან ხმლით ღიად მოდიოდა მტერი და წინააღმდეგობას ხმლითვე ვუწევდით;

მოვიგერიეთ, რადგან მტერს ვუწოდებდით მტერს, მოყვარეს — მოყვარეს;

ახლა კი, თვალთმაქცურად მოსული მტერი, მოღალატე ქართველების ხელშეწყობით, ღიმილ-ღიმილით ქართველობას ერთმანეთზე მტრად გვკიდებს;

მეგობრის მანტიამოსხმულმა მტერმა მოყვარის ცნება გააქრობინა მედროვე ქართველებს და გამოთავისუფლებულ „ნიშაში“ მტერმა დაირქვა „მოყვარე“.

„გოიმობად“ შეირაცხა სამშობლოსთვის მტრადქცეული ქართველებისავე ძალისხმევით ყველა ქართული დიალექტი, სალარო, საიდანაც ქართული ენა იკვებება მბრწყინავ მარგალიტებად შენახული ამოუწურავი სიტყვების მარაგით...

როგორ გაბრწყინდება საქართველო, თუ მესიის ქართულად მოსვლისთვის მისი გამგები აღარავინ იქნება?

აღარც „იბერია გაბრწყინდება“, რადგან იბერიას ვერ მიაგნებს კავკასიაში... ირლანდიასა და ბრიტანეთში მით უმეტეს. იმ ქვეყნებში საქართველოზე ადრე გააქრეს „იბერიის“ სახსენებელი. არადა, სამი „იბერია“ იყო, რომელთა არსებობასა და ერთ საერთო ძირის ახსნა, ისევ მხოლოდ ქართულ ენას შეუძლია...

მოვა დრო, და ხელების ცეცებით დავუწყებთ ქართველები ერთმანეთს ძებნასო, — თქვა ცხონებულმა მერაბ კოსტავამ წლების წინათ და მის თანამედროვეებს იმ დროს გაგვიკვირდა, რას ამბობსო?

მან იცოდა, რასაც ამბობდა...

„ვინ აღჩნდეს გმირი“, საიდან, როგორ?

„გეძებთ, ხელისცეცებით,
გეძებთ, ხელისკანკალით,
ბაზალეთის ტბის ძირას,
ვერ ვიპოვნეთ აკვანი.“

მაია ჭელიძე

მოხდება თუ არა ახალი შეიარაღებული დაპირისპირება ორ მეზობელ ქვეყანას შორის?

ახლო აღმოსავლეთი, შესაძლოა, ახალი ფართომასშტაბიანი მსოფლიო ომის კერად იქცეს! — შეშფოთებით აცხადებენ ცნობილი და ავტორიტეტული ექსპერტ-პოლიტოლოგები. პესიმიზმის საფუძველი მათ ნამდვილად აქვთ. გასული კვირის დასაწყისში სირიის დედაქალაქ დამასკოში ირანის საელჩოს საკონსულოზე საავიაციო-სარაკეტო შეტევა განხორციელდა. შედეგად, დაინგრა შენობა, დაიღუპა 13 ადამიანი, რომელთა შორის ირანის არმიის 7 მაღალჩინოსანი ოფიცერია, მათგან 2 — გენერალი.

მომხდარმა განსაკუთრებით შეაშფოთა რეგიონის ქვეყნები და, საერთოდ, მსოფლიოს პოლიტიკური საზოგადოება. მსგავსი შემთხვევა, რომელიმე ქვეყანას სხვა სახელმწიფოში, მესამე ქვეყნის დიპლომატიურ ობიექტზე რომ განეხორციელებინა შეტევა, მსოფლიო ისტორიაში ჯერ არ ყოფილა. ამჯერად თავდასხმა, ფაქტობრივად, ერთბაშად ორ ქვეყანაზე განხორციელდა — სირიასა და ირანზე. საერთაშორისო ნორმებით, ტერიტორია, რომელზეც რომელიმე ქვეყნის საელჩოა განთავსებული, იმ სახელმწიფოს საკუთრებად მიიჩნევა. შემთხვევები, როდესაც რომელიმე ქვეყნის სპეცსამსახურები სხვა სახელმწიფოში ახორციელებდნენ მათთვის არასასურველი პირის ლიკვიდაციას, ბევრი ყოფილა. გავიხსენოთ თუნდაც ირანელი გენერლის სულეიმანის მკვლელობა ერაყში, რომელიც ხუთი წლის წინ მოხდა. მაშინ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა ღიად განაცხადა, რომ გენერლის ლიკვიდაციის ბრძანება პირადად მან გასცა. თუმცა სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე არსებულ საელჩოზე შეტევა ისტორიას არ ახსოვს.

დიპლომატიურ ობიექტზე თავდასხმაში სირიისა და ირანის ხელისუფლებებმა იმთავითვე ისრაელის სახელმწიფო დაადანაშაულეს. თუმცა, ირაელის ოფიციალური პირები ორ დღეს დუმდნენ, კომენტარს არ აკეთებდნენ. აშშ-ის ხელისუფლებამ განაცხადა, რომ მომხდარის შესახებ პრესის საშუალებით გაიგეს. ამით თავიდან აიცილეს პასუხისმგებლობა შეტევაში რაიმე სახით მონაწილეობაზე.

თუმცა, ამერიკელი ექსპერტების განცხადებით, სირიაში ირანის საელჩოზე განხორციელებულმა შეტევამ, შესაძლოა, აშშ-ში ამოხეთქოს. მოგვიანებით ისრაელის პრემიერ-მინისტრი ბენიამინ ნეთანიაჰუ იძულებული გახდა, კომენტარი გაეკეთებინა: „ვიმოქმედებთ ყველგან, რათა ჩვენს მტრებს შეღავათი არ მივცეთ“, — თქვა მან. ისრაელის მაღალჩინოსანმა სამხედროებმა კი განაცხადეს: „შეტევებს იქ ვახორციელებთ, სადაც საჭიროდ მივიჩნევთ“. ამ კომენტარებით, ფაქტობრივად, აღიარეს, რომ ირანის საელჩოზე შეტევა მათი განხორციელებულია.

ირანის ხელისუფლებამ, მათ შორის, ქვეყნის სულიერმა ლიდერმა აიათოლამ განაცხადეს, რომ ისრაელის ნამოქმედარს უპასუხოდ არ დატოვებენ და მკაცრად უპასუხებენ. მსოფლიოს პოლიტიკური საზოგადოება ცდილობს, გამოიცნოს, როდის, რით და როგორ პასუხს გასცემს ირანი ისრაელს.

ამერიკულ პრესაში ვრცელდება ინფორმაცია, რომ ირანი აპირებს არამარტო ისრაელის ტერიტორიაზე შეტევას, არამედ რეგიონში განთავსებულ აშშ-ის სამხედრო ბაზებზეც. ამიტომაც სთხოვა თეთრი სახლის ადმინისტრაციამ ირანს ოფიციალურად, თავი შეიკავონ მათ სამხედრო ბაზებზე შეტევებისგან, რადგან მომხდარში ბრალი არ მიუძღვით.

გასული კვირის ბოლოს ამერიკულმა ტელეკომპანია სი-ენ-ენ-მა გაავრცელა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ირანში ყველა სახეობის ჯარების მობილიზაცია დაიწყო. ანალიტიკოსებს მიაჩნიათ, რომ ირანი რამადანის დასრულების შემდეგ დაიწყებს მოქმედებებს. სამხედრო ექსპერტების შეფასებით, ირანი სამხედრო ოპერაციას სპონტანურად არ განახორციელებს შეტევებისთვის სათანადოდ მოემზადება. მათივე განცხადებით, ირანს შეიარაღებაში აქვს შორ მანძილზე მოქმედი სარაკეტო დანადგარები, რომელთა მეშვეობით შეუძლია, ისრაელს და რეგიონში არსებულ აშშ-ის სამხედრო ბაზებს მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენოს. ამიტომაც სთხოვს აშშ ირანს, მათ ბაზებზე შეტევები არ განახორციელონ.

პოლიტოლოგების შეფასებით, ახლა დგება გარდამტეხი მომენტი, მთავარი საკითხია, რა პოზიციას დაიკავებენ ახლო აღმოსავლეთის ქვეყნები. ფართომასშტაბიანი ომის დაწყება რეგიონში თვით აშშ-საც არ აწყობს როგორც სამხედრო, ასევე, ეკონომიკური და პოლიტიკური თვალსაზრისით. გაუგებარია, რა პოზიციას დაიკავებს აშშ. მას გაუჭირდება ერთდროულად ორი ქვეყნის — უკრაინისა და ისრაელის შეიარაღებით მომარაგება. ექსპერტთა ვარაუდები ერთია, მაგრამ მთავარია, რეალურად როგორ განვითარდება მოვლენები.

უკიდურესად მძიმე ვითარება რჩება პალესტინის ტერიტორიაზე. კერძოდ, ღაზას სექტორში. იმის გარდა, რომ დანგრეულია ქალაქები, მოსახლეობა მასობრივად შიმშილობს. ისრაელის მხარე ცდილობს, ხელი შეუშალოს ანკლავში ჰუმანიტარული ტვირთების შეტანას. უფრო მეტიც — გასულ კვირას დამასკოში ირანის საელჩოზე განხორციელებული შეტევის მეორე დღეს, ისრაელის ავიაციამ ავტომანქანების კოლონა დაბომბა. როგორც მოგვიანებით გაირკვა, ერთ-ერთ საერთაშორისო ჰუმანიტარულ ორგანიზაციას დევნილი მოსახლეობისთვის საკვები მიჰქონდა. შედეგად, დაიღუპა ორგანიზაციის 7 თანამშრომელი — აშშ-ის პოლონეთის, ავსტრალიის, კანადის მოქალაქეები. ღაზაში, საომარი ვითარების დაწყებიდან დღემდე, საერთაშორისო ორგანიზაციების 200-ზე მეტი თანამშრომელია დაღუპული.

ჰუმანიტარულ კოლონაზე შეტევამ საყოველთაო აღშფოთება გამოიწვია ისრაელშიც. თავდაპირველად ისრაელის მხარე კომენტარისგან თავს იკავებდა. მოგვიანებით, სამხედროებმა სცადეს თავის მართლება და პასუხისმგებლობისგან თავის არიდება. მათი განცხადებით, კოლონა „ჰამასის“ მებრძოლების გადაადგილების მცდელობად მიიჩნიეს. საერთაშორისო ორგანიზაციამ კატეგორიულად უარყო ისრაელელი სამხედროების ვერსია. მათი განცხადებით, ყველა ავტომობილს სახურავზე ჰქონდა ნიშანი, რომ ჰუმანიტარულ ორგანიზაციას წარმოადგენდნენ.

ღაზას სექტორზე მორიგი საჰაერო შეტევის შემდეგ აშშ-ის პრეზიდენტი ჯო ბაიდენი ტელეფონით დაუკავშირდა ბენიამინ ნეთანიაჰუს. კულუარული ინფორმაციით, ბაიდენი მკვახედ ესაუბრა მას და კატეგორიულად მოსთხოვა ღაზას სექტორში არსებული სასურსათო პრობლემის მოგვარება.

გასულ კვირაში ამერიკული გამოცემები საგანგებოდ აღნიშნავდნენ, რომ თეთრი სახლის ადმინისტრაცია უკმაყოფილოა ნეთანიაჰუს მოქმედებებით, რომელიც არავის აზრს აღარ ითვალისწინებს. აშშ-ის პრესაში ვარაუდობენ, რომ მოსალოდნელია ნეთანიაჰუს ლიკვიდაცია, რასაც, შესაძლოა, ისრაელის სახელმწიფოებრიობის დასრულებაც მოჰყვეს. რა მოხდება მომავალში, უცნობია. ნეთანიაჰუ კვლავ დაჟინებით აცხადებს, რომ ისრაელის არმია სახმელეთო-სამხედრო ოპერაციას განახორციელებს ანკლავის სამხრეთით მდებარე ქალაქ რაფახზე, სადაც თითქმის ორ მილიონამდე დევნილია თავმოყრილი. სახმელეთო ოპერაციას უამრავი მშვიდობიანი მოსახლის, დევნილის სიცოცხლე შეეწირება.

აღსანიშნავია, რომ ცალკეული საერთაშორისო ორგანიზაციები ისრაელის ხელისუფლებისა და არმიის მოქმედებას ღაზაში სამხედრო დანაშაულად მიიჩნევენ და მოითხოვენ გამოძიების დაწყებას. საინტერესოა, როგორ განვითარდება მოვლენები, რადგან აშშ-ის ადმინისტრაციის დამოკიდებულება ისრაელის მიმართ შესამჩნევად გაცივდა.

გასულ კვირას სამხედრო გაერთიანება ნატო-ს 75 წელს შეუსრულდა. ამ თარიღის აღსანიშნავად წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრები ბრიუსელში შეიკრიბნენ. იუბილეზე, ძირითადად, უკრაინაში მიმდინარე მოვლენებზე ისაუბრეს. ალიანსში აღიარებენ, რომ იქ მძიმე ვითარებაა.

ალიანსი კვლავ შეჰპირდა უკრაინას, რომ მის დახმარებას გააგრძელებენ. უკრაინის პრეზიდენტი ვოლოდიმირ ზელენსკი კი ითხოვს, რომ დაუყოვნებლივ დაეხმარონ: „ჩვენ გვირჩევნია, ახლავე მოგვაწოდონ შეიარაღება კრედიტით, ვიდრე გვიან და უფასოდ“, — განაცხადა ზელენსკიმ ინტერვიუში.

ბელგიის დედაქალაქში ჩასვლამდე, აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ენტონი ბლინკენი პარიზში იმყოფებოდა, სადაც საფრანგეთის პრეზიდენტს ემანუელ მაკრონს შეხვდა. მასპინძელმა კვლავ აღნიშნა, რომ საჭიროა უკრაინაში გაერთიანებული ჯარების შეყვანა, რისი წინააღმდეგიც არის აშშ-ის ადმინისტრაცია, ასევე, გერმანია და ბრიტანეთი. ბლინკენმა კიდევ ერთხელ დაადასტურა მისი ქვეყნის ხელისუფლების პოზიცია. თუმცა, მაკრონი აპირებს, დამოუკიდებლად გააგზავნოს უკრაინაში 2 ათასი სამხედრო მოსამსახურე. ნატო-ს სამხედრო ექსპერტების შეფასებით, საფრანგეთის ჯარისკაცების უკრაინაში გაგზავნა და სამხედრო ტექნიკით დახმარება ფრონტის ხაზზე ვერაფერს შეცვლის.

კათოლიკებმა აღდგომის დღე31 მარტს აღნიშნეს, რა დროსაც ჯო ბაიდენმა თეთრ სახლში ტრანსგენდერებს უმასპინძლა. ამის საპასუხოდ, დონალდ ტრამპმა განაცხადა, რომ 5 ნოემბერს, როდესაც საპრეზიდენტო არჩევნებში გამიარჯვებს, ქრისტიანობის დღედ გამოაცხადებს.

საგანგაშო ინფორმაცია გაავრცელეს უცხოურმა გამოცემებმა გასული კვირის მიწურულს. როგორც იუწყებიან, სომხეთმა აზერბაიჯანის საზღვრებთან ჯარების მობილიზება დაიწყო.

უცნობია, მოხდება თუ არა ახალი შეიარაღებული დაპირისპირება ორ მეზობელ ქვეყანას შორის, მაგრამ საქართველოს ხელისუფლება და მოსახლეობა ფრთხილად და ყურადღებით, რომ უნდა ვიყოთ, უდავოა.

გია ბურდული

იგი ერთგულებისა და ორი ერის მეგობრობის ეტალონი იყო

არ მახსოვს, რომელიმე მნიშვნელოვან ღონისძიებას დაკლებოდა ბატონი ჯამლეტ ხუხაშვილი, რეპორტაჟებს ხომ ნუ იტყვით. მისი შექმნილი რადიო „ჯა-კო“ მრავალი წელია 24 საათის განმავლობაში ცინცხალ ინფორმაციებს გვაწვდის პლანეტის სხვადასხვა კუთხეში გამართულ შეჯიბრებებზე... ხოდა ზუსტად ასეთი მრავალფეროვანი და ხალხმრავალი საიუბილეო საღამო გაიმართა 2024 წლის 8 აპრილს შოთა რუსთაველის სახელობის აკადემიურ თეატრში, რისთვისაც დიდი მადლობა მინდა გადავუხადო საქართველოს მთავრობას, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, განათლების სამინისტროს, თბილისის მერიას.

ჯამლეტ ხუხაშვილი გახლდათ ღირსების ორდენოსანი, კოტე მახარაძის პრემიის ლაურეატი, ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენის კავალერი, დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში პირველი დამსახურებული მწვრთნელი, 1990 წლიდან “მაქაბის” კლუბის პრეზიდენტი, სპორტის კომენტატორთა შორის პირველი საპატიო თბილისელი, ღირსების, ივანე ჯავა-



ხიშვილისა და ოლიმპიური ორდენების კავალერი, NBA-ის პირველი ქართველი ლეგიონერის - ვლადიმერ სტეფანიასა და მრავალი ტიტულის მფლობელის გიორგი შერმადინის აღმზრდელი. ევროპაში ერთადერთი ჟურნალისტი, რომელიც თითქმის ექვსი ათეული წელიწადი რუდუნებით ემსახურა საყვარელ საქმეს.

მთელი ცხოვრების მანძილზე განუმეორებელი ხიბლით შედიოდა ყველა ოჯახში სასპორტო რეპორტაჟების წაყვანისას, გამარჯვების რწმენას უნერგავდა ქომაგებს, სიკეთეს თესავდა და სიყვარულს იმკიდა სანაცვლოდ. იგი ერთგულების და მეგობრობის ეტალონია!!!

2014 წელს საერთაშორისო ორგანიზაციამ „სახალხო დიპლომატია“ ბატონ ჯამლეტ ხუხაშვილს „ხალხის სიყვარულის“ ოქროს ჯილდო გადასცა.

ამქვეყნად „სამჯერ მოვლენილს“ ჯერ კიდევ ბევრი ჰქონდა სათეს-სამკალი, მაგრამ...

5 აპრილს, გარდაცვალების წლისთავზე, სკოლას სადაც ბატონი ჯამლეტი სწავლობდა მიენიჭა ჯამლეტ ხუხაშვილის სახელი და დაწესდა მისი სახელობის გარდამავალი თასი.

13 აპრილს ჯამლეტ ხუხაშვილი 80 წლის გახდებოდა, ხოდა სადაც არის იქ გაუმარჯოს ორი ქვეყნის, ორი ერის ღირსეულ, საამაყო და საიმედო ადამიანს.

გამარჯობა, ჩემი **სანდრო 3 წლის არის**, მას დაბადებიდან ჯანმრთელობის პრობლემა აქვს, მისი დიაგნოზია - „ჰირშპრუნგი” - ეს დაავადება აზიანებს მსხვილ ნაწლავს და იწვევს მონელების პრობლემებს, ეს გამოწვეულია ბავშვის მსხვილი ნაწლავის კუნთებში ნერვული უჯრედების არარსებოთით.

იმის გამო, რომ 2 წლის განმავლობაში საქართველოში არასწორ დიაგნოზებს სვავდნენ და შესაბამისად არასწორად მკურნალობდნენ, ძალიან გართულდა სანდროს ჯანმრთელობის მდგომარეობა. თითქმის 1 წელია გასული პირველი ოპერაციიდან, რომელიც თურქეთის კლინიკაში ჩაუტარდა, მას შემდეგ კიდევ 4ჯერ გახდა საჭირო ქირურგიული ჩარევა. დღეს ისევ გავდივართ რეაბილიტაციის ურთულეს პერიოდს, ბევრი ტკივილებით და დისკომფორტებით. ამ ყველაფერს დაემატა ისიც, რომ სანდროს დაუდგინდა „ცელიაკია“ - გლუტენის აუტანლობა, რაც კიდევ უფრო ართულებს „ჰირშპრუნგის“ მიერ დაზიანებული ნაწლავის რეაბილიტაციას. იმის გარდა, რომ უგლუტენო დიეტის დაცვა საკმაოდ დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული, გვიწევს კიდევ რამდენჯერმე თურქეთის **Liv hospital**-ში ჩასვლა, სპეციალური პროცედურების და დამატებითი კვლევების ჩასატარებლად.

თიბისი ბანკი / **TBC Bank: NGE82TB7222745064300039**

საქართველოს ბანკი / **Bank of Georgia: NGE45BG0000000499299255**

მიმღები: **ნატო ციცხვაია**

იურიდიული რჩევები

თქვენს კითხვებს პასუხობს საერთო სპეციალიზაციის ადვოკატი ლევან ჭიღლაძე

– 15 წელზე მეტია, გაურკვეველ დროსა და ვითარებაში დამეღუპა მამა. ბინა მის სახელზეა. სახელმწიფო სერვისებიდან ვერ ვიღებ გარდაცვალების მოწმობას, რომ ქონება გადავიფორმო. როგორ მოვიქცე ?

– ფიზიკური პირი შეიძლება სასამართლოს გადაწყვეტილებით აღიარებულ იქნეს უგზო-უკვლოდ დაკარგულად, თუ მისი ადგილსამყოფელი უცნობია და ორი წლის განმავლობაში იგი არ გამოჩენილა თავის საცხოვრებელ ადგილას. თქვენ შეგიძლიათ პირის უგზო-უკვლოდ დაკარგულად ცნობის შესახებ მიმართოთ სასამართლოს და უკვე მისი გადაწყვეტილების საფუძველზე, სახელმწიფო სერვისებში მიმართვის გზით შეძლებთ გარდაცვალების მოწმობის აღებას.

●

– ჩემი შვილი ნარკოტიკული საშუალებების მომხმარებელია, თავს ვეღარ მართავს. არადა, სოფლად ყველა მიწის ნაკვეთი, რაც გამაჩნია მის სახელზეა გაფორმებული. იგი არ მაძლევს თანხმობას ქონების გადაფორმებაზე. ვიცი, რომ ყველაფერს გაასხვისებს როგორ მოვიქცე?

– ამ შემთხვევაში გამოსავალია, მას დაუწესდეს მზრუნველობა, რადგან კანონის თანახმად, სასამართლოს მიერ მზრუნველობა შეიძლება დაუწესდეს სრულწლოვან პირს, რომელიც ბოროტად იყენებს ალკოჰოლს ან ნარკოტიკულ ნივთიერებებს და ამის გამო თავის ოჯახს მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში აყენებს.

●

– შემიძლია თუ არა სახელის შეცვლა?

კანონის თანახმად, პირს აქვს უფლება, შეიცვალოს სახელი და გვარი და ამის არავითარი აკრძალვა არ არსებობს.

●

– რომელი წლის ასაკიდან ითვლება პირი ქმედუნარიანად ?

– ქმედუნარიანობა, ეს არის ფიზიკური პირის უნარი, თავისი ნებითა და მოქმედებით სრული მოცულობით შეიძინოს სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები, რომელიც წარმოიშობა სრულწლოვანების მიღწევისთანავე. სრულწლოვანია პირი, რომელმაც 18 წლის ასაკს მიაღწია.

– ერთ-ერთმა საინფორმაციო საშუალებამ ჩემ შესახებ გაავრცელა ყალბი ცნობები, შემელახა ავტორიტეტი. ვის მივმართო ჩემი რეპუტაციის აღდგენისათვის?

– ასეთ შემთხვევაში, თქვენ უფლება გაქვთ, სასამართლოს მეშვეობით, კანონით დადგენილი წესით დაიცვათ საკუთარი პატივი, ღირსება, პირადი ცხოვრების საიდუმლოება, პირადი ხელშეუხებლობა ან საქმიანი რეპუტაცია შელახვისაგან. თუ პირის პატივის, ღირსების, საქმიანი რეპუტაციის ან პირადი ცხოვრების საიდუმლოების შემლახველი ცნობები გავრცელებულია მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით, მაშინ მათი უარყოფაც უნდა მოხდეს ამავე საშუალებებით. წინააღმდეგ შემთხვევაში, რეპუტაციის აღდგენის მიზნით უნდა მიმართოთ სასამართლოს.

●

– აქვს თუ არა უფლება სასამართლოს, უარი მითხრას იმ საქმის განხილვაზე, რომელიც კანონით დასჯადი არ არის და სარჩელის განხილვაზეც უარი მითხრას?

– საერთოდ, სასამართლოს არა აქვს უფლება, უარი თქვას სამოქალაქო საქმეებზე მართლმსაჯულების განხორციელებაზე იმ შემთხვევაშიც, თუ სამართლის ნორმა არ არსებობს, ან იგი ბუნდოვანია. ასეთ შემთხვევაში, სასამართლომ უნდა გამოიყენოს სამართლის ანალოგია.

●

– პირს გავუფორმე მინდობილობა, ამოიწურა მისი მოქმედების ვადა. ხომ არ მაკისრია კიდევ რამე ვალდებულება?

– მინდობილობა ცალმხრივი გარიგებაა, რომელიც ნებისმიერ დროს შეგიძლიათ გააუქმოთ. მისი მოქმედების ვადაც იმ დროს სრულდება, რა დროც მითითებულია მინდობილობაში. ვადის გასვლით უქმდება ყველა თქვენი ვალდებულებაც.

ტელ.: 555 750 445; 557 749 887.

იცოდით თუ არა, რომ...

როგორც იტყვიან ხოლმე, არაფერი პირადული, მხოლოდ ფაქტების კონსტატაცია, მითუმეტეს, რომ საუკუნეების გადასახედიდან, გარდა ისტორიულ ინფორმაციულ-შემეცნებითი ხასიათისა, ერთგვარად სახალისოც კი არის მკითხველისთვის.

რუსეთის აგენტი ბაღლინჯო

არცთუ დიდი ხნის წინათ დადასტურებული ინფორმაცია გავრცელდა, რომ საფრანგეთში კატასტროფულად გავრცელებული ბაღლინჯოები დიდ ბრიტანეთსაც გადასწვდა. ქართულმა მედიამ, რა თქმა უნდა, ამ ამბავს წაუყრუა, მხოლოდ გაკვრით თქვეს ერთხელ, მაგრამ ფაქტი დარჩა. ბაღლინჯოების თავდასხმას „შარლი ებდომ“ კარიკატურაც მიუძღვნა. რაღაცნაირად სასაცილო სიტყვაა „ბაღლინჯო“, სიცილი ამიტყდა, მით უმეტეს, რომ მის გავრცელებაშიც რუსეთს ადანაშაულებენ, მაგრამ ვისაც კბენს და იქექება, იმას რა გააცინებს...



იქნებ, მეც გადამვიწყებოდა ბაღლინჯოების ამბავი, მაგრამ ჩემმა შვილიშვილმა შემეცნებითი შინაარსის გრძელი კითხვარი მოიტანა სკოლიდან, ამ კითხვებს ხუთშაბათამდე უნდა გავცე პასუხიო. ცხადია, დავეხმარე, მაგრამ მე-17 კითხვამ საგონებელში ჩამაგდო მეც და სრულიად ჩემი საახლობლოც. კითხვა ერთი შეხედვით მარტივია: „რომელ მდინარეს უწოდებენ „ევროპის საკანალიზაციო თხრილს?“ წლების განმავლობაში შეძენილი ინფორმაციით რომ ვერას გავხდით, ინტერნეტში დავიწყე ძიება. აღმოჩნდა, რომ წინა წლებშიც ყოფილა იგივე კითხვა დასმული, ყმაწვილი იხვეწებოდა, დამეხმარეთო, მაგრამ იმ მოსწავლესაც ვერ მიუღია პასუხი. ამ ძებნა-ძიებაში, ვფიქრობ, პასუხს მივაგენი, მაგრამ რადგან ეს მხოლოდ ეჭვია, ხმამაღლა არ განვაცხადებ. თუმცა, როცა თქვენც გაიგებთ „რაღაცებს“, ვფიქრობ, ჩვენი ეჭვები დაემთხვევა.

უპირველესად, დაივიწყეთ იმით, რას გვაჩვენებენ ფილმებში ან რას ვკითხულობთ რომანტიკული ჟანრის რომანებში — სიმართლე ევროპაზე სხვაგვარ სურნელად ყარს... კონკრეტულად, სიმყრალეზეა საუბარი...

სუნიანი ევროპა

ანტიკურ სამყაროში ჰიგიენური პროცედურები ერთ-ერთ მთავარ სიამოვნებად მიიჩნეოდა, რისი დასტურიც ცნობილი რომაული თერმებია (აბანოები). მხოლოდ რომში 1000-ზე მეტი აბანო ფუნქციონირებდა, თუმცა მოგვიანებით, კათოლიკურმა ეკლესიამ ყველა აბანო დახურა.

ჩამოყალიბდა საზოგადოებრივი აზრი, რომ ბანაობა სარისკოა, რადგან ბანაობისას ორგანიზმში ავადმყოფობა ხვდება კანის (ფორები იხსნება) მეშვეობით, თან ცივი წყალი აციებს ადამიანს — ეს მაშინ, როდესაც მდინარეში უამრავი სიბინძურე ისხმებოდა და ამავე მდინარიდან იღებდნენ სასმელ წყალს... იყო მეორე მიზეზიც, რაც უფრო ყურით მოთრეულს ჰგავს, სიშიშვლე ცოდვად მიიჩნეოდა, თუმცა ასე მოგვიანებით XVIII-XVIV საუკუნეებში ფიქრობდნენ. ცხელი აბაზანის მიღება მთლად არარეალური იყო — შეშა ძვირი იყო, მისმა ძირითადმა მომხმარებელმა, ინკვიზიციამაც კი სხვა სახის მოკვდინებით ჩაანაცვლა ასე „საყვარელი“ სიკვდილით დასჯა, კოცონზე დაწვა...

უამრავი დოკუმენტური მასალაა ცნობილი დიდგვაროვნების შესახებ, რომლებიც დაუბანლობისგან გამოწვეული დაავადებებით გარდაიცვალნენ...

ესპანეთის დედოფალი იზაბელა კასტილიელის (XV საუკუნის ბოლო) სიტყვებია, რომ მან მხოლოდ ორჯერ იბანავა — დაბადებისას და ქორწილის დღეს;

ჰერცოგ ნორფოლკის სხეული დაუბანლობით გამოწვეული ჩირქოვანი გამონაყარით იყო დაფარული, თუმცა მაინც უარს ამბობდა ბანაობაზე. მსახურები მხოლოდ მაშინ ახერხებდნენ მის დაბანას, როცა ძლიერი თრობისგან გონს კარგავდა.

რუსმა ელჩებმა, რომლებიც ლუდოვიკო XIV-ის კარს ეწვივნენ, ისტორიაში სამუდამოდ დატოვეს ფრაზა „მისი აღმატებულება ისე ყარს, როგორც მხეცი“. თვით რუსები მთელ ევროპაში გარყვნილებად და გადახრების უწოდებდნენ და სიწმინდის ერთ-ერთ ნიშნად მიიჩნევდნენ... ცალკეული ორდენის წევრები იმით ტრაბახობდნენ, რომ მათ ფეხებს არასოდეს შეხებია წყალი, გარდა მდინარეზე გადასვლისა...

იმდენად დაუბანელი იყო ხალხი, რომ ექიმი ბილცი, XIX საუკუნის ბოლოს გამოცემული სამედიცინო სახელმძღვანელოთი სთხოვდა ხალხს, რომ ებანავათ. „არიან ადამიანები, რომლებიც, სიმართლე უნდა ითქვას, ვერ ბედავენ მდინარესა თუ აბაზანაში ბანაობას, რადგან ბავშვობიდან მოყოლებული, არასდროს შესულან წყალში. ეს შიში უსაფუძვლოა. მხოლოდ ერთხელ, მაგრამ ფაქტი დარჩა. ბაღლინჯოების თავდასხმას „შარლი ებდომ“ კარიკატურაც მიუძღვნა. რაღაცნაირად სასაცილო სიტყვაა „ბაღლინჯო“, სიცილი ამიტყდა, მით უმეტეს, რომ მის გავრცელებაშიც რუსეთს ადანაშაულებენ, მაგრამ ვისაც კბენს და იქექება, იმას რა გააცინებს...

ეჭვი, ეჭვი, ეჭვი,